№ 201
ოთხშაბათი, 9 ნოემბერი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 201
ოთხშაბათი, 9 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

კვირას, 14 ნოემბერს 1905 წ., სოფელ მაღაროს კარის ღვთის-მშობლის ეკლესიაში გადახდილი იქმნება წლის წირვა და ძეგლის კურთხევა, უდროვოდ გარდაცვალებულის

თადეოზ დავითის ძის ნაცვლიშვილის

სულის მოსახსენებლად. აუწყებენ რა დანი მისნი **ელისაბედ დავითის ასული ნატროევისა, ალექსანდრა, ანასტასია და მარიამ დავითის ასულნი ნაცვლიშვილისანი და ბარბარე დავითის ასული ვაჩნაძისა**, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა, პატივი სცენ და მობრძანდნენ. ცალკე წერილებით პატიჟი არ იქნება. (2—1)

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 5.
ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, 1905 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:
ვლ. ალექსი-მესხიშვილის და **ს. მ. რომანიშვილის** მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა
I
ძალა ცოდნაშია
პიესა 3 მოქმ., თხზ. ფილდმანსა.
II
ქურდი
კომ. 1 მოქ. მირბოსი.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ა. ნებიერიძე; ბ-ნნი: ე. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ზ. საფაროვი, ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი.
წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.**
რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
დღეს, ოთხშაბათს, 9 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება
ფაუსტი
ოპერა 5 მოქმ., მუსიკა გუნოსა. თარ. ვლადიმიროვისა
მონაწ. იღებენ: ქ-ნნი მიშეცკაია, კარპოვა; ბ-ნნი კოლოტოვი, ევლახიშვილი, ჩისტიაკოვი, შეინი.
ბილეთს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კაპელმეისტერი დ. ბ. შტეინბერგი.
პარასკევს, 11 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება ,,აფრიკანკა'' ოპერა 5 მოქმედებად. მუსიკა მეიერბერისა, თარგმ. ამმასა.
მზადდება წარმოსადგენად „ჩერევიჩკი“, 4-მოქმედებიანი ოპერა, მუსიკა ჩაიკოვსკისა.
ბილეთები იყიდება.

თანხმად ტრაქტირებზე გადასახადთა დებულების 34 და 41 § სა **ტფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს ტფილისის მეტრაქტირეებს გამოცხადდნენ** გამგეობის შენობაში 1906 წლის ხარჯის გამწერ კომისიის წევრთა ამოსარჩევად.

უნდა გამოცხადდნენ შუადღის 12 საათზე შემდეგს, დღეებში: ტრაქტირისა და დუქნების პატრონები—ნოემბრის 8 ს, სასტუმროების პატრონები—ნოემბრის 9-ს, რესტორანებისა, ბუფეტებისა და საკონდიტეროებისა—ნოემბრის 10 ს, ლუდხანებისა—ნოემბრის 11-ს, ღვინით მოვაჭრენი და სარდაფების პატრონები—ნოემბრის 12-ს, მოწყობილ სახლებისა, კუხმეისტრებისა, ყავახანებისა და სახაიეს პატრონები—ნოემბრის 13-ს, სანოვაგით მოვაჭრენი—ნოემბრის 14 ს და ბაკების პატრონები—ნოემბრის 15-ს — 1905 წლისა.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ჟ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
ზ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:
ვ. ა. ნავასარდიანი. 7—$7^1/_2$ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—$7^1/_2$ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 **კუთხეში** ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნის ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

წერილი პოლონეთსა და პოლონელების შესახებ *)

ყველას მოეხსენება, რომ სასამართლოს საქმეთა და პროცესების გადასასინჯავად საჭიროა ახალი საბუთი, ახალი ფაქტი.

ასეთ „ახალ ფაქტად“ პოლონეთის ცხოვრებაში უნდა ჩაითვალოს სამხედრო წესების გამოცხადება „პრივისლიანის“ ათს გუბერნიაში. ამ მოვლენას იმიტომ კი არ ვუწოდებ „ახალს“, რომ ჩემს მრავალ ჭირნახულ სამშობლოს არასოდეს არ განეცადოს სამხედრო წესები, არა! ამითი ის მინდა ვსთქვა, რომ ეს არის სრულიად დაუმსახურებელი, უკიდურესი და პროვოკატორული ზომა, რომელიც მიღებულ იქმნა დღევანდელ დიად წამს და სრულიად განსაკუთრებული ხასიათი აქვს ორივე დაინტერესებულის მხარისთვის,—პოლონეთის ხალხისა და რუსეთის მთავრობისათვის.

ძველის წესწყობილების შესარჩენად საბედისწერო კამათელი გააგორეს იმ დროს, როდესაც—პოეტისა არ იყოს—„ყველგან სძინავს ელვა-ქუხილს, ელის მხოლოდ გაღვიძებას“. გახურებულ მავთულებზე ფეხის დადგმა მეტის-მეტი თავგანწირული საშუალებაა, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც სამასი ათასი გაპრიალებული ხიშტი მზადაა გემსახუროს. ამ „სიკეთის“ ჩამდენნი რად ივიწყებენ, რომ პოლონელების გარდა, მთავრობის წინააღმდეგ გამოვა მთელი შეგნებული და მებრძოლი ძალა თვალუწვდენელის რუსეთისა და როგორ-და ნებავთ მოაწესრიგონ ის კონფლიქტი, რომელიც ჩანდა, ერთის მხრივ, განმათავისუფლებელ მოძრაობასა, შეერთებულ პარტიებსა და, მეორეს მხრივ, [illegible] და შავბნელ ნაციონალურ ეგოიზმის შორის!..

ვისის მეოხებით წაგვართვეს ჩვენ „მანიფესტი“, ან ვისის შთაგონებით შემოიღეს ჩვენში სამხედრო წესები,—რასაკვირველია, ამ მოკლე ხანში გამოჩნდება, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუნდაც ეს უსამართლობის მღაღადებელი აქტი ნაკარნახევი იყოს ვარშავის გენერალ-გუბერნატორის დარბაზიდან და მოწონებულ-დადასტურებული—მინისტრ-პრეზიდენტ ვიტტესაგან.

ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია და წაგვიკითხავს კიდეც რუსულ პრესსაში გულისწყრომა და საყვედური იმის გამო, რომ მთავრობის განცხადებები უფერულადა და გაუგებრად არიან დაწერილიო, მაგრამ ესევე არ ითქმის იმ უკანასკნელ „განცხადებისა“ გამო, რომელიც ჩვენდამი არის მომართული და რომლის შემთხზველიც ბ-ნი დურნოვოა. ისევ ძველებური ბრძანებითი და ძლიერი კილო, ისევ ის მუქარა და ყოყოჩობა, რომელსაც ცხოვრების მსვლელობის მეოხებით გადაეჩვივნენ არა მარტო რუსეთის ახლად გამომცხვარი მოქალაქენი, არამედ რუსეთის გუშინდელი ქვეშევრდომნიც კი.

მართალია, დიდი სიკეთე არც წინადა გვქონია, მაგრამ ისეთი დიდი განსხვავებაა ,,ახლო წარსულსა'' და დღევანდელ ჩვენ მდგომარეობის შორის, რომ ძალაუნებურად ეკითხები შენ თავს: ნეტა როგორ იმღერიან ასე მედგრადა და თავგამოდებით, ან საიდან გაახსენდათ ეს ძველებური, დახავსებული ჰანგებიო? და პასუხის ნაცვლად თქვენის გონების თვალწინ იმართება მამაპაპურ მათრახების გორა და იმის იქით მოსჩანს თოფებში დაწყებული [illegible] რუსეთისა. ის წყატყუილად აფრთხილებდა გენერალ-გუბერნატორი ამ დღეებში მასთან მყოფ ჩვენს დელეგატებს?

ინგლისის გაზეთებმა უკვე გამოაცხადეს კიდეც, რამდენი ხიშტიანი პრუსიელი მოადგა ჩვენს საზღვრებს. ესენი თურმე მზად არიან გადმოვიდნენ პოლონეთში და „თავს მეგობრის“ პატივსაცემლად პოლონელები დაიმონონ.

არ ვიცი, რამდენად გაუმართლდება იმედი რუსეთის მთავრობას, მაგრამ კარგი კი იყო, ამ მთავრობას გაეთვალისწინებინა ბედი შერყეულ სახელმწიფოთა და მოეგონებინა, რამდენად დაუჯდება ხოლმე ამგვარ სახელმწიფოს მეზობლის სარჩლი. ას-ოცი წლის წინად პოლონეთმა ძალიან კარგად გამოსცადა უანგარობა რუსეთისათვის მზრუნავ მეზობლისა...

არა მგონია, რომ ახლო მომავალში ისევ ის განმეორდეს, რაც ამ ას-ოცი წლის წინად მოხდა, პირიქით, ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის სახელმწიფო აყვავდება და გაძლიერდება, რაკი თვითმპყრობელობასთან ერთად დაემხობა ველიკოროსების ბატონობაც, მაგრამ პოზნანში მცხოვრებ პოლონელთა ჯალათის ანგარიში ცხადია და იმდენად თვალსაჩინოც, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება.

პრუსიის საზღვრებიდანვე ვრცელდება ის ჭორები, ვითომ ჩვენ მთელის პოლონეთის აღდგენისათვის აგიტაციას ვეწეოდეთ, და ასეთსავე უსირცხვილობას იმეორებს რუსეთის მთავრობის უკანასკნელი განცხადებაც, როდესაც ღაღადჰყოფს, რომ ჩვენ სრული ჩამოშორება, განცალკევება გვწყურია. ამ ღირს-შესანიშნავ დოკუმენტში ,,მოუსვენარ და არეულობის მოყვარე საზოგადოების'' სხვა „დანაშაულობაც“ არის ჩამოთვლილი. ,,მსვლელობა ბაირაღებით, ეროვნულ სიმღერათა თქმა, ორატორების სარევოლუციო სიტყვები, სოფლის სასამართლოებში რუსულად დაწერილ არხივების განადგურება, რუსის სკოლებისადმი ბოიკოტი და დარბევა სახელმწიფო ღვინის სარდაფ-დუქნებისა (აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ღვინო-არაყს პოლონელები მიწაზე ღვრიდნენ და სხვასავით მუცელში არ ისხამდნენ, არ ითრობდნენ)—აი, ის დანაშაულნი, რისთვისაც მთავრობამ მიიღო სასტიკი ზომები და მთელი ჩვენი ქვეყანა ჯარებით გაავსო, კვლავ ციხეებში გამოამწყვდია ასი და ათასი მამულიშვილი.

იმ დროს, როდესაც სამოცზე მეტი ქალაქი ველიკოროსიისა, მალოროსიისა და ნოვოროსიისა ცეცხლის ალში იყო გახვეული და გაცოცხლებული პუგაჩოვები და გაიდამაკები ხალხსა ჰმუსრავდნენ, პოლონეთის არც ერთ ქალაქს არ განუცდია სამარცხვინო დღესასწაული ხულიგანებისა და შავის რაზმელებისა.

არამც თუ ათი ათასი მნახველი, არამედ ყველა სააგენტოების დეპეშები ჰმოწმობენ, რომ პოლონეთში მანიფესტაციებმა დიდებულად, მშვიდად და წყნარად ჩაიარა, და ჩვენ შეგვიძლიან ვიამაყოთ, რომ განაბული ჩვენი ხალხი ღირსეულად დაუხვდა დიად წამს და ღირსეულადაც ეჭირა თავი, თუმცა ჩვენშიაც იყო პროვოკატორული აგიტაცია, ჩვენშიაც დაიცალა პროვოკატორების თოფები.

მერე როგორ დასაჯა მთავრობამ შავი რაზმელები და ხულიგანები? იმისდა მიუხედავად, რომ მთელი ქალაქები და ოლქები იწოდა, მთელი გუბერნიები სისხლით ირწყოდა ოქტომბერში მომხდარ შავ-ბნელ ამბების გამო—მთავრობამ ბევრგან არავითარი ზომები არ მიიღო და, თუ მიიღო, ისიც სულ მცირედი—გაძლიერებულ დაცვის წესები...

განა მთელის რუსეთის რევოლუციონერები ხმამაღლა არ გაიძახოდნენ:—საკმარისი არ არის „მანიფესტი“, ვიბრძოლოთ იქამდე, ვიდრე ხალხის ყველა მოთხოვნილებანი არ დაკმაყოფილდებაო“. ჩვენც ამას ვიძახით და მით უმეტესს უნდა გვეთქვა, რადგანაც ჩვენ მარტო დღეიდან არ დაგვიწყვია მოთხოვნა საკუთარის სეიმისა და ავტონომიისა, ჩვენ ამას დიდი ხანია მოვითხოვთ, თუმცა იმ აზრით კი არა, როგორც ველიკორუსებსა ჰგონიათ. ჩვენ არა გვსურს რუსეთის სრულიად ჩამოშორება. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენში არ იყვნენ ისეთი მეოცნებენი, რომელთაც არ სურდეთ სამშობლოს სრული დამოუკიდებლობა, მაგრამ კერძო კაცნი რა ანგარიშში ჩასაგდებნი არიან, როდესაც ძლევა-მოსილი პარტიები და ხალხი კრიტიკულის თვალით უყურებს აწმყოს და აწონილ-გაზომილი აქვს არა მარტო რუსეთთან დამოკიდებულება, არამედ თავისს სამშობლოს გეოგრაფიული მდგომარეობაც.

ასეთისავე კრიტიკისა და ფხიზელის თვალით უმზერენ პოლონელები იმ ხალხებსა და ტერიტორიას, რომლებიც ოდესღაც პოლონელთა სამფლობელოს შეადგენდნენ, ე. ი. ლიტველებს, ბელორუსებს და მალორუსებს. წარვიდნენ მესამოცე წლები და მათთან ერთად გაჰქრნენ ის მაცდურებანიც, რომელთაც ასე ლამაზადა და [illegible] აკეთებენ და მათი, „განცხადებებში“ ჩაქსოვილი გულის-თქმა ისე ადვილად ველარ განხორციელდება.

⁂

მთავრობის „ახალმოდის“ საბუთების ასაწონდასაწონად და მის მიერ პოლონელთადმი მტრობის გასათვალისწინებლად, საჭიროა გავიცნოთ პოლონეთში არსებულ პარტიათა ვინაობა და მათი ურთიერთობა.

ვეცდები შეძლებისდაგვარად გავაცნო ეს პარტიები ქართველ მკითხველებს.

უნდა გავკადნიერდე და წინდაწინვე მოგახსენოთ, რომ თვით მე, ჩემის პირადის ხასიათისა და სულიერ თვისებათა გამო, არც ერთ მათგანს არ ვეკუთვნი. არ ვეკუთვნი აგრეთვე იმათ რიცხს, რომელთაც **ხალხი, როგორც ერთეული**, ფიქცია ჰგონიათ და რომელნიც მარტო **კლასთა ბრძოლაში** ხედავენ რეალურ სინამდვილეს, თუმცა მეც დარწმუნებული ვარ, რომ არის ხოლმე ისეთი დრო, როდესაც ინტერესი ერთის კლასისა, მთელის ერის, მთელის ხალხის ინტერესი უნდა იყოს. აი, სწორედ ასეთ დროს, ასეთ ხანას განვიცდით დღეს ჩვენ, პოლონელები.

მუშათა ინტერესი, ინტერესი ქალაქისა და სოფლის პროლეტარისა, დღეს მთელის პოლონეთის საზოგადოების ინტერესია, და რაც უფრო ერთსულადა და ერთგულად დაადგება ჩვენი ხალხი ამ მიმართულებას, მით უფრო მალე და ადვილად მიაღწევს იმ ნათელ მომავალს, რომელზედაც ასე გატაცებით ოცნებობს.

ქართველ მკითხველებს, ალბად, არ ეუცხოებათ, თუ ვიტყვი, რომ მშრომელ ხალხის ამგვარის პოლიტიკის წარმომადგენელი არის „პოლონეთის სოციალისტური პარტია“, ეგრედ წოდებული, პ. პ. ს., თუმცა მასთან ერთად და ისეთისავე თავგამოდებით დღეს პოლონეთში მეორე პარტიაც მოქმედობს. ამ პარტიას ჰქვიან: „სოციალ დემოკრატია პოლონეთისა და ლიტვის სამეფოსი“. სხვაგვარი კავშირი კი ამ ორ პარტიათა შორის არ არსებობს, ვინაიდან „სოციალ-დემოკრატია“ უარსა ჰყოფს საზოგადოდ კაცობრიობისა და კერძოდ პოლონეთისათვის ეროვნულ ფაქტორის მნიშვნელობას და დღევანდელის ბრძოლის ნიადაგად მარტოოდენ საერთაშორისო და სრულიად-რუსეთის პროლეტარიატის ინტერესს აღიარებს, თუმცა ამ ერთის საუკუნის განმავლობაში ეროვნულმა მიმართულებამ თანდათან ფეხი მოიკიდა პოლონელ პროლეტარიატის და საზოგადოდ, ეგრედ წოდებულ, „დაბალ ხალხის“ პოლიტიკურ მიმართულებაში.

პირველი ადამიანი, რომელმაც შეიგნო ამ კლასთა უფლება და მნიშვნელობა მთელის ერისათვის, იყო სახელოვანი კოსტიუშკო, რომლის მხურვალე და პირდაპირის მოწოდებისა გამო ათი ათას გლეხის გული ათრთოლდა და მტრის წინააღმდეგ ამხედრდა. შემდეგ დაიწყო ეროვნული ომი. 1830—31 წლ. პოლონელებს დიდი იმედი ჰქონდათ რეგულიარულ ჯარისა და მთელი ხალხი აღარ მოუწოდებიათ. ამას მოჰყვა ნიკოლოზის რეჟიმი. მაშინდელმა მთავრობამ დასცა საზოგადოების ძალნი და ისეთი შუღლი ჩამოაგდო კლასთა შორის, რომ, როდესაც 1863 წელს აჯანყება დაიწყო და ბურჟუებმა „ხალხს“ მოუწოდეს, ხალხმა მათ მოწოდებას ყურიც არ ათხოვა. ახლა კი, ორმოცი წლის შემდეგ, ხალხი თითონ გამოვიდა ბრძოლის ველზე. მას გადაწყვეტილი აქვს ან სიცოცხლე და ეროვნულ, სოციალურ და პოლიტიკურ თავისუფლებათა მოპოვება, ან სიკვდილი, და, მე მგონია, ვერავითარი ძალა ველარ შეაყენებს მის სურვილებს, მის მისწრაფებას...

⁂

ასეთივე დიდმნიშვნელოვანი და სანუგეშოა ის ცვლილებაც, რომელიც ამ ორმოცი წლის განმავლობაში მოხდა რუსეთში. რუსეთის საზოგადოებრივი აზრი გაიზარდა, გაფაქიზდა. რუსეთში მცხოვრები „სხვა ტომის ხალხნი“ ისე აღარა სძულთ, და ამ „უცხო ტომის ხალხთ“ არა ერთი და ორი საბუთი უჭირავთ ხელში იმის დასამტკიცებლად, რომ არამც თუ ერთი და ორი კეთილშობილის გულისა და გრძნობის რუსი ზრუნავს მათთვის, არამედ მათი მომხრეა მთელი ორგანიზაციები. რასაკვირველია, ძნელია კაცმა აღნიშნოს საზღვრები ამ დახმარებისა, ვინაიდან თვით ძირითად რუსეთის პროლეტარიატი შევიწროვებულ მდგომარეობაშია, მაგრამ „უცხო ტომის ხალხს“ მაინც იმედი უნდა ჰქონდეს, რომ, მთავრობის სულთამხუთაობის შემდეგ, ამ ორგანიზაციების ჩვენდამი დახმარება ყოველ შემთხვევაში, ლამაზ და თბილ სიტყვებს მაინც გასცილდება.

ადვილად წარმოიდგენთ, როგორის გაფაციცებით ელის მთელი პოლონეთის საზოგადოება რუსეთში მცხოვრებ თანამოაზრეთა პასუხს იმ „ახალი კურსის“ გამო, რომელიც დამკვიდრდა ჩვენში სწორედ ამ დროს, როდესაც [illegible] წვია თავისი ყოფილი ხელქვეითები. მაგრამ ვერავითარი „სამინისტრო კურსი“ ველარას გააწყობს მაშინ, როდესაც ორივე ერის ძლევამოსილ პარტიებს ხელი-ხელს გადაუბამთ და მზად არიან უკანასკნელი იერიში მიიტანონ ბრძოლის დასამთავრებლად.

⁂

როდესაც სიტყვა რუსებისა და პოლონელების შესახებ ჩამოვარდებოდა ხოლმე, უეჭველად ასახელებდნენ იმ განსხვავებას, რომელიც ამ ორის ერის შორის უფსკრულსა ჰბადავდა, არა თუ კერძო ცხოვრებაში, არამედ იდეალებშიაც-კი. მაგრამ დღეს სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორ ხალხს შუა ისეთი უფსკრული აღარ არის, ბევრი რამ შეექმნათ საერთო და ბრძოლის საერთო ნიადაგი დიდიხანია გაუმტკიცდათ. ბევრ შემთხვევაში თითქმის ერთგვარად ჰფიქრობენ და ერთგვარად ჰმოქმედობენ. წვრილმანია, მაგრამ ეს წვრილმანიც კი ახასიათებს მისწრაფებათა გაერთიანებას. მე მოგახსენებთ იმ გარემოებაზე, რომ კრაკოვშიაც კი გაისმის რუსული ,,დუბინუშკა'', ხოლო მოსკოვისა და პეტერბურგის ქუჩებზე დასძახიან პოლონურ „ვარშავიანკას“.

აუცილებელი სოლიდარობა არსებობს პოლონელ და კავკასიელ მებრძოლთა შორისაც, თუმცა, სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდე, რომ ჩვენის ხალხის უმრავლესობამ ნაკლებად იცის, რა ცეცხლი ტრიალებს ახლა კავკასიაში. ნაკლებად ესმით აგრეთვე სოციალ-პოლიტიკური პროგრამა კავკასიის თითოეულ ერისა. ქართველთა და სომხების საქმეთა შედარებით მცოდნენი არიან მხოლოდ ის პოლონელნი, რომელნიც რუსეთისა და კავკასიის დელეგატებთან ერთად პარიზის კონფერენციას დაესწრნენ. საქართველოს შესახებ ცოტა რამ იციან იმათაც, ვისაც წაუკითხავს პლოხოცკის წიგნი, უმრავლესობა კი ვკმაყოფილდებით ძველებურის წარმოდგენით თქვენზე და ტრადიციული სიმპატია თქვენდამი არ ჩაგვქრობია.

სამწუხაროდ, არც ის ვიცი, რამდენად გვიცნობენ ჩვენ, პოლონელებს ქართველები, რომ შემდეგში არ მომიხდეს თქვენთვის უკვე ნაცნობ გარემოებებზე ლაპარაკი. მაინცდამაინც ჩემის წერილების ჩარჩო იქნება—მრავალტანჯულ პოლონეთის თანამედროვე მდგომარეობა მთელის თავისის იდეიურისა და რეალურის საფუძვლით ახლო წარსულში და სხივოსან იმედიანობით ახლო მომავალში.

რ. ბოდუენ დე-კურტენე.

---

*) ჩვენ ვსთხოვეთ რამდენსამე ცნობილ პოლონელ მწერალს ჩვენის გაზეთისთვის წერილების წერა პოლონეთის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ. ამჟამად ვბეჭდავთ ცნობილ მწერლის რ. ბოდუენ დე-კურტენეს პირველ წერილს. რედ.

ეროვნული

თვითმპყრობელობის მსხვერპლნი

ოო, რამდენი არის, მკითხველო, იმათი რიცხვი, ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის გესლიან ბრჭყალებში რომ მოჰყოლიან და შიშისა და უიმედობის გამო სასოწარკვეთილებით გაგანიერებულ თვალებს ამაოდ ატრიალებენ თავის გარშემო და ვეღარა ჰხედავენ ადამიანს, ვეღარ ისმენენ საყვარელ არსების ტკბილ სიტყვას? ცრემლით დაღარულ იმათ სახეს უკვე მიწის ფერი დასდებია, გამოფიტულ იმათ სხეულს ვეღარ გაათბობს თავისუფლების სხივიც. იმათ გულსაკლავ, უაზრო თვალებს მხოლოდ ერთის დანახვა დაუბრუნებდა სიცოცხლის ელფერს, მხოლოდ ერთის ალერსიანი სიტყვა შთაბერავდა სულს და გაათბობდა მათ გაციებულ ძვალ-მანს. მაგრამ ის „ერთი“ არაოდეს აღარ დაბრუნდება.

რამდენი არის იმათი რიცხვი, შორეულ ქვეყნებს რომ გადაჰლეპეს და უკანასკნელი სადგომ-ბინა აპოვნინეს თეთრის სუდარით შემოსილ კლდე-ღრეს? რამდენი არის იმათი რიცხვი, სასიკვდილოდ დაკოდილნი რომ ჰღრიალებდნენ, სიმწარით ჰფხოჭავდნენ დედა-მიწასა, შეშლილივით გაჰკიოდნენ მშველელის სახელს, მაგრამ მშველელი არსადა სჩანდა, გარშემო ჰერხივით მიყრილი ამხანაგები სამარადისოდ მისცემოდნენ ძილს და უკანასკნელი ამონაკვნესიც უხმოდ იკარგებოდა უდაბურ, ტრიალ მინდვრებზე? რამდენი არის იმათი რიცხვი, უთვისტომოდ, ბედის-ანაბარად რომ დაძრწიან, დაკანკალობენ კარიდან-კარს, ხეტიალობენ სოფლიდან სოფელს, ქალაქით ქალაქს, და არ იციან, რომელ ბოგირს ქვეშ განუტევებენ დატანჯულ სულსა?

ყველა ამათი რიცხვი მრავალზე-მრავალია.

ეხლა ვიკითხოთ, რამდენი არის იმათი რიცხვი, გულის გამსივლად გაგრძელებულ შენობებში რომ მომწყვდეულან და ვისი არსებობის მთელი შინაარსი მხოლოდ ერთის სიტყვით გამოითქმება: „დისციპლინა?“

4 და ზოგჯერ 5—6 წლით მოშორებულნი სახლკარს, დედ-მამას, და-ძმებს და ხანაც ცოლშვილს, რომელთაც უკიდურესობამდე ესაჭიროებათ მუშახელი, ვის ან რას ემსახურებიან კაზარმებში ასიათასობით გამომწყვდეული სალდათები? სახელმწიფო უფლება გვასწავლის, რომ ჯარები საჭირო არის ქვეყნის მთლიანობის დასაცავად, გარეშე მტრების მოსაგერებლადო. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ასეთ მიზანს არ ემსახურებოდა რუსეთ-იაპონიის გუშინდელი ომი. უცხოეთში გამოქვეყნებულ ცნობებიდან ვიცით, რომ ეს ომი საჭირო იყო ბეზობრაზოვისა (შორეულ აღმოსავლეთის უპორტფელო მინისტრი) და მის დამქაშებისათვის, რომელთაც მანჯურია—კორეას ხე-ტყისა და მთა-მადნეულობის კონცესიები (იჯარა) ჰქონდათ აღებული; იმი საჭირო იყო შორეულ ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის განსამტკიცებლად. ამ ბატონებისათვის იყო საჭირო სისხლის ღვრა, იმპერიის ახალგაზდობის ამოჟლეტა; მათთვის იყო საჭირო ომი, რომლის თითოეული დღე სახელმწიფოს უჯდებოდა სამ [illegible] —,,დ კონტამპორარი ჩევიუ''-ს—თანამშრომელს—ალექსანდრე ულარს — გაუზიარა ერთმა მაღალ ხარისხოვანმა ოფიცერმა, რომ მოხსენებულ ციფრზე ხუთჯერ მეტი მალვით და პარვით მიდიოდა ოფიცრობა-ღენერლობა-ბიუროკრატების ჯიბეში; რომ წითელის ჯვარის გამგენი მანჯურიაში ათასობით ჰზავნიდნენ ნამჯით სავსე ტომრებს, ნაცვლად ამუნიციისა (ტანისამოსის, და სხ. *) იმავე თანამშრომელმა გამოაქვეყნა კუროპატკინისაგან მეფესთან გაგზავნილი ასეთი დეპეშა: ,,ვიდრე უმთავრეს კომისარიატის რეორგანიზაცია არ მოხდება, ისე რომ, შემდეგისთვის შეუძლებელი იყოს ქურდობა, არ შემიძლიან ადგილიდან დავიძრა და ვერც ახალ ჯარს მივიღებ''-ო.

სახელმწიფო უფლება არ გვასწავლის, მარა პრაქტიკა გვეუბნება, რომ ჯარები არსებობენ აგრეთვე ,,შინაურ მტრების'' შესამუსრავად. ვინ არიან ეს მტრები? ყველა ისინი, ვისაც შეუგნია თავისი ადამიანური ღირსება და ვეღარ ურიგდებიან მონობის ბორკილებს; ყველა ისინი, ვისაც კი მოეპოვება ადამიანური გული-გონება და აღარ ემორჩილებიან ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას, რომლის დედა-ბოძია: ხალხის სიღატაკე, უმეცრება, ნაციონალიზმი, ე. ი. ყველას გარუსება ძალადობით, და ლეგალური, კანონიერი ანარქია. ერთის სიტყვით, ყველა ისინი, ვისაც კი არ დაჰკარგვია მსგავსება და ხატება ღვთისა, ვინც კი იბრძვიან ხალხის კეთილ დღეობისათვის, სინათლისათვის კანონიერებისათვის,— ყველა ესენი ძველის რეჟიმის მიერ გამოცხადებულნი არიან შინაურ მტრებად, და, აი, მათ ამოსაჟლეტად გამოჰყავთ ჯარები და კაზაკები, დისციპლინის შესასრულებლად სალდათები თოფს ესვრიან უბედურ თავის ძმებს, დებს, მამებს და დედებს მხოლოდ იმიტომ, რომ ამათ ვეღარ აიტანეს უზომო ტანჯვა-ვაება და ბოლოს დაილაპარაკეს: ჩვენც ადამიანები ვართ, გვეყო ამდენი შავი დღე, ჩვენც გვინდა დავინახოთ მზის სხივი. სალდათები ამათ თოფს ესვრიან, რომ მით შეასრულონ უფროსის ბრძანება სალდათები, სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობის დარაჯნი, ხელებს ისრიან იმ ხალხის სისხლში, რომელმაც იმათ ძუძუ აწოვა. ცას ქვეშ ძნელად მოიპოვება ისეთი ცხოველი, ისეთ ნადირი, რომელიც ეძლეოდეს ასეთი საზიზღრობას. და ის ცხოველი კი, რომელიც ადამიანის სახეს ატარებს, ელვის სისწრაფით და წარბ-შეუხრელად ასრულებს დასახელებულ ბოროტმოქმედებას.

რათა, როგორა ხდება ეს ყველაფერი?

ამის გასაგებად საკმაო არის გადავიხედოთ კაზარმებში დავინახოთ, როგორ პირობებში მიმდინარეობს სალდათების ყოველ დღიური ცხოვრება.

ჯან-ღონით სავსე ჭაბუკნი, მთელი დღეებისა კი არა, მთელის წელიწადების განმავლობაში ვალდებულნი არიან... არაფერი არ აკეთონ, არავითარ შრომას ხელი არ წაავლონ; მთელ წელიწადებს ატარებენ სრულ უსაქმურობაში. ეს პირველი პირობაა ზნეობის დაცემისა. ოთხ კედელ შუა გამომწყვდეულ სალდათს ყოველ ცისმარე დღეს ერთი და იგივე სიტყვები ესმის: „стой, равняйся, смирно!“ ერთსა და იმავე მიმოხვრას აკეთებს; მთელი მისი ლექსიკონიც სამი სიტყვისგან შესდგება: „точно такъ-съ! ни какъ нѣтъ-съ! Слушаю-съ!“ სალდათის გამათახსირებელ ერთ-ფეროვან სიცოცხლეს არღვევს—თუ კი არღვევს—მხოლოდ ოფიცრებისა და თვით სალდათების ლანძღვა-გინება. სალდათის აღზრდის, დისციპლინის ერთად-ერთი მიზანია სრული, უსიტყვო მორჩილება უფროსის მიმართ. მთელი კაზარმული ცხოვრება მომართულია ისე, რომ სალდათს ჩაუკლან ყოველივე მგრძნობიარობა, დაუხშონ ტვინის ყოველივე მოძრაობის ნიჭი.

სალდათების ფიზიკური ცხოვრება არა უკეთესია. აჯანყებულ „კნიაზ პატიომკინმა“ გამოამჟღავნა, რომ მატროსებს, რომელთა მდგომარეობაც შედარებით უკეთესი ყოფილა,—ეძლეოდათ საჭმელად ბორში, სადაც ხორცის ნაცვლად თეთრი მატლები ტივტივებდნენ. ასეთ საჭმელზე ექიმი ეუბნებოდა ხოლმე კომანდირს: მე თვითონ შევამოწმე,—მშვენიერიაო. კომანდირიც მადლობის ნიშნად ექიმს მხრებზე ხელსა სცემდა. ჭუჭყი, სიბინძურე სალდათების ,,თანდაყოლილი'' ხვედრია.

ბევრსა ჰგონია, რომ ოფიცრების ხვედრი ბევრად უკეთესია სალდათებისაზე. ფიზიკურ ცხოვრების მხრივ ეს, რასაკვირველია, მართალია, მაგრამ სხვაფრივ კი იმათი ბედი არ არის შესანატრი.

9 იანვარს პეტერბურგში მომხდარ ამბის შესახებ ერთი გაზეთი, სხვათა შორის, მოგვითხრობდა ასეთ შემთხვევას: ,,ერთ ქუჩაზე ჩასაფრებული იყო ოფიცერი თავის რაზმით; როცა ხალხის ერთი ტალღა შემოუვიდა ამ ქუჩას, ოფიცერმა უბრძანა სროლა. ასტყდა ზალპების გრგვინვა და ჯოჯოხეთური წივილ-კივილი, გმინვა და კვნესა. როცა წამლის ბოლი ოდნავ გაიფანტა და სარდალმა გადახედა ომის ველს, ნადავლი ეცოტოვა; სწრაფად მოიაზრა: სალდათებს ყველა დარიგებული პატრონები რომ ეხმარათ, დაჭრილ-დახოცილების რიცხვი გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო,—ალბად ზოგმა ჰაერში ისროლა, ზოგმაც სულ არ გაისროლა ან ნაბძანებზე ნაკლები პატრონა იხმარაო,—მყისვე დაამწკრივა სალდათები და თოფები გაუშინჯა; რამდენსამეს აღმოაჩნდა მთელი პატრონები. ოფიცერმა ეს სალდათები იქვე დაახვრეტინა თოფით''... [illegible] არც საჭიროა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს ოფიცერი არ შეადგენს გამონაკლს; იმის მსგავსნი რუსეთის არმიას სხვებიც მოეპოვება. ეს ოფიცრები თუ არსებობენ, უნდა არსებობდეს იმათი შემქმნელი ცხოვრების პირობებიც. ვინ არ იცის, რომ გაუთავებელი და თავაშვებული ქეიფი, დროს ტარება,—საზიზღრობა მხოლოდ საზიზღრობას შეჰქმნის; და სწორედ ასეთის გათახსირებისა და გადაგვარების ატმოსფერაში ტრიალებენ ჯარის ოფიცრები.

მართალია, ესენი სკოლებში სწავლობენ ხოლმე, მაგრამ, ჯერ ერთი—მათი სწავლა სრულიად ოფიცრულია, და მეორეც—სკოლის გათავების შემდეგ მთელ იმათ გონებრივ საზრდოს შეადგენს ,,ინვალიდი'', სადაც ისინი გულდასმით კითხულობენ, ვის რა ჩინი ებოძა ან ვის რამდენი ჯამაგირი მოემატა. სხვა გაზეთსაც თუ აიღებენ ხელში,—მარტო ახალ ამბების და განცხადებების წასაკითხად და იმის გასაგებად, თუ სად რომელ ,,შანსონეტკის'' ნახვა შეიძლება.

თუ რამდენად დაქვეითებულნი არიან ზნეობრივად და გონებრივად ოფიცრები, ამას კარგად ახასიათებს თუნდ ასეთი ამბავი: ერთმა ხარისხოვანმა ოფიცერმა გვიამბო ამ დღეებში, რომ იმათ წრეებში ოფიცრები წაღმა უკუღმა ატრიალებენ 17 ოქტომბრის მანიფესტს, ვერას გზით ვერ გაუგიათ თეთრზე შავად დაწერილი და უაზროდ აქნევენ თავებს. აქვე შევნიშნოთ, რომ მანიფესტით გამოცხადებული არც ერთი უფლება დღემდის არ გავრცელებულა სამხედრო ხალხზე. ისინი დღესაც ისეთივე მონები არიან, როგორიც იყვნენ ყოველთვის. ამ დღეებში ერთ პოლკში სასტიკი ჩხრეკა მოახდინეს და, სხვათა შორის, სალდათებს გამოსტაცეს „Возрожденіе“-ს ყველა ნომრები. თუ ასე ექცევიან ამ სრულიად მშვიდობიან გაზეთისთვის, რაღას იზამენ ისეთის ნაწერებისთვის, სადაც უფრო გაბედული სიტყვა ლაპარაკობს?

ეჭვი არ არის, სალდათებსა და ოფიცრებშიაც მოიპოვებიან ისეთნი, ვისაც მოქალაქობრივი წმინდა მოვალეობა უღვივის გულში. მაგრამ ესენი არიან წვეთი ზღვაში. საერთოდ მხედრობის მდგომარეობა შავ-ბნელი არის.

ვინ შთაბერავს ხალხის შვილებს ხალხის სულს? ვინ დაუბრუნებს იმათ ადამიანობას? — თვითონ ხალხი, რომელიც მოწოდებულია თვითვე ჰმართავდეს და განაგებდეს საკუთარ სვე-ბედს. არმიას, უნდა დაუბრუნდეს მისი კანონიერი დანიშნულება. იგი უნდა იყოს ხალხის, ქვეყნის სარგებლობა, კეთილ-დღეობის დარაჯი. ამისათვის საჭირო არის ძირითადი სამხედრო რეფორმა, რომელიც უკვე განხორციელებულია უფრო ბედნიერ ქვეყანაში. ერთად-ერთი საშუალება, რომელიც სრულიად გარდაჰქმნის ჯარს და აიყვანს მას სათანადო სიმაღლეზე, ერთად-ერთი საშუალება, რომელიც კი თანამედროვე კაცობრიობამ იცის, არის: მუდმივ ჯარების გაუქმება და სახალხო მილიციის დაწესება, როგორც ეს უკვე არსებობს შვეიცარიაში.

სამწუხაროდ, ასეთი რეფორმა, არა გვგონია, დღესვე დაუყოვნებლივ განხორციელდეს, თუმცა დღეიდანვე აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი მისწრაფება. ჩვენ მაინც ზურგი არ უნდა შევაქციოთ არმიას; ჩვენ დღესვე უნდა მივმართოთ იმათ მოქალაქობრივის სიტყვით. პსიხოლოგიის შესანიშნავი მცოდნე დოსტოევსკი ერთ ადგილას (Записки изъ мертваго дома) ამბობს: ადამიანურის მოპყრობით შეიძლება გავაადამიანოთ ისეთნიც, ვისაც, დიდი ხანია, დაუკარგავს მსგავსება და ხატება ღვთისაო“. საჭიროა მხედრობას ვუპოვოთ გულის ჩაწყვეტილი სიმები, საჭიროა ავუნთოთ და გავუღვივოთ ადამიანობის ნაპერწკალი. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ ასეთი ცდა ყოველთვის თუ არა, ხშირად დაჯილდოებულა სრულის გამარჯვებით.

სადაც და რამდენადაც კი შეიძლება, საჭიროა მხედრობას განვუმარტოთ და გავუთვალისწინოთ დღევანდელი ისტორიული მომენტი. საჭიროა შევაგნებინოთ, რომ დღეს იმპერიაში თავი ასწია რეაქციის ბნელმა ძალამ კონტრ-რევოლუციის მოსახდენად. საჭიროა მხედრობას შთავუნერგოთ ხალხის სიყვარული და საკმაო მხნეობა, რომ იგი აშკარად და აქტიურად შეუერთდეს იმ ხალხს, რომელიც იბრძვის განმტკიცოს და გააფართოვოს მანიფესტითაც აღიარებული—ადამიანისა და მოქალაქის უფლებანი.

ვლ. დარჩიაშვილი.

ტფილისის საბჭოს ტაქტიკა.

როცა განმათავისუფლებელი მოძრაობა მოზღვავდა და ძველ რეჟიმის დანგრევისათვის აშკარად საბრძოლველად გამოვიდა, ტფილისის საბჭო, როგორც მოსალოდნელი იყო, ორჭოფად მიეგება მას. ერთის მხრით ხელს უწვდიდა ხალხს, მეორეს მხრივ ცდილობდა ხალხი შორიახლო მაყურებლად გაეხადა თავის მოქმედებისა. მე თვითონ მოწმე ვიყავი ერთის ტფილისის საბჭოს ,,რადიკალ'' ხმოსნის საუბრისა, მყვირალა ხმოსანი კერძო ადგილას, დარწმუნებული, რომ მას ხალხი არ უსმენს და მაშ მის დემაგოგობას სახელს მიში არ მოელის, გულახდით ბრაზებსა ჰყრიდა, ილანძღებოდა იმ ხალხის, იმ „ქუჩის“ მიმართ, რომელიც ცდილობს საბჭოში შეიჭრეს და მისი მყუდრო საქმიანობა დაარღვიოს. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თითქმის მთელი საბჭო ამავე აზრისა არის; ის ვერ შერიგებია ხალხის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას, ის ვერ დაუთმობს ,ხალხს ქალაქის საქმეების გაძღოლაში მისთვის მიკუთვნებულ უპირატესობათ.

დღევანდელი საბჭო, ეს ქალაქის ბურჟუაზიის სამეურნეო კომიტეტი, ვერ შესძლებს ხალხს, [illegible] სობას წინ გაუძღვეს. ამას დღეს მტკიცება აღარ სჭირდება.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში ხმოსნებს უნდა ჰქონდეთ ჯეროვანი პატივისცემა თუ არ ხალხისა, თავისი ამომრჩევლების მაინც. როგორც ვიცით, 29 აგვისტოს მომხდარ საზარელ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ თითქმის მთელი საბჭო გადადგა. ეს იყო პროტესტი ძალმომრეობის მიმართ, პროტესტი, რომლის გამოცხადება საბჭოს ძალუძდა. რასაკვირველია, ამ უკმაყოფილების გამოცხადება შეიძლებოდა, სხვა გზითაც შეიძლებოდა უფრო გაბედული გზის არჩევა. მაგრამ ამას დღეს თავი დავანებოთ.

მოსალოდნელი იყო, რომ ხმოსნები ამ შემთხვევაში მაინც ორჭოფობას არ გამოიჩენდნენ და დაწყებულ პროტესტს ბოლომდე მიჰყვებოდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. გადამდგარმა ხმოსნებმა პირველ შემთხვევითვე ისარგებლეს და ხელახლა თავის ადგილებს დაუბრუნდნენ. მერე რა უფლებით? ვისი რწმუნებით?

ამის შესახებ «ვოზროჟდენიეს» მე-19 ნომერში დაბეჭდილია ერთის ამომრჩეველთაგანის ნ. დ. ზუბალაშვილის წერილი. პატივცემული ავტორი სრულიად სამართლიანად ამტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც ხმოსნებმა წერილობით უარი განაცხადეს ხმოსნობაზე, იმათ არავითარი უფლება არ ჰქონდათ უკანვე დაბრუნებულიყვნენ საბჭოში. დღევანდელი მათი საქციელი მხოლოდ მოქალაქეთა აბუჩად აგდება, მხოლოდ მათი უფლებათა შელახვაა. საარჩევნო სისტემის წესი მოითხოვს, რომ ამორჩეულნი, რწმუნებულნი, ყოველთვის თავის მოქმედებაში მრწმუნებელთა მისწრაფების განმახორციელებელნი იყვნენ. თუ რწმუნებული დამოუკიდებელ მოქმედებას იწყებს, მაშინ ის სრულიად უარყოფს არჩევნების სისტემის მნიშვნელობას. გადადექით, ხელი აიღეთ იმ უფლებზე რომელიც თქვენ გადმოგცა ამომრჩეველმა, ამის შემდეგ ამ უფლების აღდგენა, ამ უფლების თქვენთვისვე დაბრუნება შეუძლიან მხოლოდ იმავე ამომრჩეველებს და სხვას არავის.

მერე რატომ აუხვიეს ხმოსნებმა ამ გზას? მიზეზების გამოძებნას ახლა არ შევუდგებით. საჭიროა მათ გამოეცხადოს გადაჭრილი პროტესტი დაბრუნებისათვის, მოეთხოვოს დაუყოვნებლივ აიღონ ხელი ხმოსნობაზე.

ასეთ მოთხოვნას იუცხოვებენ, როგორ თუ ქალაქი დავტოვოთ უპატრონოდო. მაგრამ ეს მხოლოდ უსაფუძვლო გულის წყრომა იქმნება. ჯერ ერთი აქამდისაც არ ყოფილა ქალაქის ნამდვილი პატრონი, მეორეც ის მინიმალური სამეურნეო მოქმედება, რომელიც ქალაქისათვის აუცილებელია, შეიძლება წინანდებურადვე დარჩეს, სანამ ახალი საბჭო არ შესდგება. ამისათვის საკმარისია მხოლოდ საბჭოს აღმასრულებელ ორგანოების დატოვება.

ხოლო რომ ახალი საბჭო ძველი საარჩევნო სისტემით არ შეიძლება შესდგეს, ამას ლაპარაკი აღარ უნდა. ძველი რეჟიმი ისეთ წარმომადგენლობასაც ნაკლებ ურიგდებოდა ქალაქის საქმეებში, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს. ცხადია, ამ რეჟიმის დანგრევას თან უნდა გაჰყვეს ის წარმომადგენლობის აჩრდილიც, რომელიც დღემდის არსებობდა.

აქამდის თუ თავს ვიტყუებდით, ამას შემდეგ ეს შეუძლებელია. ხალხი პოლიტიკურად მომწიფდა, ის წელში გაიმართა და გადასწყვიტა თავის საქმეებს თვითონ გაუძღვეს. ცენზის მომხრე შეძლებულთ არავითარის ძალით არ შეუძლიანთ ხალხის ასეთი მისწრაფება შეაჩერონ და რამდენადაც ადრე დაიხევენ უკან, რამდენადაც დროზე უარჰყოფენ უსამართლოდ მითვისებულ უპირატესობათ, მით უფრო მათთვის უკეთესი იქმნება, მით უფრო მშვიდობიანად განხორციელდება ხალხის სამართლიანი მისწრაფება.

საყოველთაო საარჩევნო უფლება—აი, რა უნდა განხორციელდეს დღესვე. ბევრი ასეთ აზრს ვერ შერიგებია, ბევრი ჯერ კიდევ ძველებურ „კანონიერ“ გზას ადგას, როგორ თუ ნება-დაურთველად, მთავრობის უსანქციოდ განვახორციელოთ ხალხის მისწრაფებაო.

რა ულოღიკობაა! განა ხალხი ვისმე ნებართვასა სთხოვდა, როცა თავისუფლება მოიპოვა და განახორციელა? ჩვეულებრივი გზა აქაც უნდა დაცულ იქმნას. ამას იქით კანონი მხოლოდ უმრავლესობის მოთხოვნა არის.

ჩვენც ვითხოვთ: გადადგეს უკვე გადამდგარი საბჭო და ახალი თვითმართველობა შესდგეს საყოველთაო საარჩევნო უფლების სისტემით.

ბ.

რეაქციის საქმენი საგმირონი

რევოლუციონერთა გამარჯვების პირველი დღე—17 ოქტომბერი—კონტრ-რევოლუციისა და რეაქციის დაწყების დღე იყო. მოედო თუ არა მთელ რუსეთს გამარჯვების ამბავი, რეაქციის გველეშაპმაც ხვრელიდან თავი გამოყო და სისინი დაიწყო: შეიკრიბნენ გუბერნატორები, გრადონაჩალნიკები, პოლიცმეისტრები, პოლიციელები, მოუწოდეს საზოგადოების ნაძირალებს, ხულიგანებს, შეიმუშავეს კონტრ-რევოლუციის გეგმა დ ებრაელებსა დ ინტელიგენციას მიესივნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში მთელ რუსეთში სისხლის ღვარი იყო იდგა. კონტრ-რევოლუციის გრიგალმა რამდენიმე ათასი კაცი იმსხვერპლა და ას ორმოცი მილიონი ადამიანი ანარქიას ჩაუგდო კლანჭებში. სისხლის ღვრა რომ წინდაწინვე იყო მომზადებული და ადმინისტრაციაც ხელს უწყობდა, ეს თვითონ ვიტტემაც აღიარა.

იმ დროს, როცა ხულიგნებმა ჯარის დახმარებით ტომსკში 600 კაცი მოიმწყვდიეს თეატრში, ცეცხლი წაუკიდეს და ცოცხლები დასწვეს, გუბერნატორი სტუმრების მასპინძლობაში იყო და, თუმცა იციოდა, რომ იქვე, იმის მახლობლად საშინელი ამბავი ხდებოდა, მაგრამ ადგილიდანაც არ დაიძრა და ისე მხიარულობდა, თითქო იმის გვერდით 600 კაცი კი არა, არამედ 600 კონა ფიჩხი დაეწვათ, პოლიცმეისტერიც სწორედ ამ დროს დაიკარგა სადღაც და არც ვიცე-გუბერნატორს სცალოდა. მერე მისცეს სამართალში ვინმე? ან დაითხოვეს სამსახურიდან ეს გუბერნატორი? არც სამართალში მიუციათ ვინმე და არც სამსახურიდან დაუთხოვნიათ. პირიქით, დღეს თუ ხვალ, თვითმპყრობელობის ერთგულ მოსამსახურეს, უეჭველია, უკეთეს ადგილს მისცემენ და ორდენითაც დააჯილდოვებენ.

ან როგორ მოექცა და რით დასაჯა უმაღლესმა მთავრობამ ოდესის გრადონაჩალნიკი ნეიდგარტი, რომელსაც როვოლუციისა 6000 ებრაელის უმანკო სისხლი მართებს და რომელმაც მთელი ოდესა ქალებისა, ბავშვებისა და მოხუცთა სამარედ გადააქცია?.

ეს ის ნეიდგარდია, რომელმაც ჯარი ხულიგანებს მიაშველა და ბრძანება მისცა, თუ რომელიმე სახლში ხულიგანებს წინააღმდეგობა გაუწიეს, თავი არ დაახოცვინეს და ძარცვა-გლეჯის ნება არ მისცეს, ეს სახლი დაანგრიეთო. ნეიდგარტს დახმარებას უწევდა მანჯურიაში შერცხვენილი ბარონი კაულბარსი, რომელიც მუკდენის ბრძოლის დროს ხარბინისკენ ყველაზე წინ მორბოდა. ამ „გმირმა“ ხულიგანების წინ სიტყვა წარმოსთქვა და გზა დაულოცა. როცა ქარიშხალმა გადაიარა, როცა დახოცილებსა და დაჭრილებს თვლა დაუწყეს და როცა საზოგადოებამ ნამდვილ დამნაშავეთა აღმოჩენა მოინდომა, ნეიდგარტმა ოდესის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს დაუძახა და დაემუქრა: დამნაშავეების ძებნას თავი დაანებეთ და მათ შესახებ ხმა არ ამოიღოთ, თორემ წინანდელი ამბები გამეორდებაო. მაგრამ სიმართლემ თავი ამოჰყო და პირდაპირ ნეიდგარტზე და კაულბარსზე მიუთითა. მუკდენის „გმირს“ მხედრობამაც კი უღალატა: დუნაის პოლკის ოფიცრებმა გაზეთებში განაცხადეს, რომ „ჩვენგან დამოუკიდებელ“ მიზეზისა გამო ხულიგანებს ხელი ვერ შევუშალეთო.

ახლა ვიკითხოთ, რა მიიღეს უმაღლეს მთავრობისგან ნეიდგარტმა და კაულბარსმა, საჩუქარი თუ სასჯელი? ნეიდგარტს იაროსლავის გუბერნატორად ნიშნავენ, კაულბარსისთვის კი ალბად უფრო შემოსავლიან ადგილს ეძებენ.

ვარშავის გენ.-გუბერნატორმა სკალონმა თავისუფლების შემოღების მესამე დღესვე 17 ოქტომბრის მანიფესტი გააუქმა, რამდენიმე გაზეთის გამოცემა აკრძალა, რამდენიმე ახალი ცენზორი გამოიწერა, ხალხს შეკრების თავისუფლება მოუსპო და წინანდელი თვითნებობა აღადგინა. მერე რა მიიღო პასუხად პეტერბურგიდან? დეპეშა მთავრობისა, რომელიც მას [illegible] უცხადებდა ,,მანიფესტის განმარტებისთვის'', ჯარს კი ქება-დიდებას ,,ერთგულ სამსახურისთვის''.

ან რაღა შორს წავიდეთ! აქ, ჩვენ თვალ-წინ, 29 აგვისტოს და 22 ოქტომბერს სრულიად უმიზეზოდ ჩვენი ძმები, შვილები, ნათესავები და ნაცნობები დახოცეს და დამნაშავეთა აღმოჩენა და დასჯაც არ მოისურვეს. ერევნის მოედნის ,,გმირს'', გენ. იაცკევიჩს, ერევნის გენ.-გუბერნატორობა მისცეს, ხოლო გოლოვინის პროსპექტსა, პირველ გიმნაზიისა და მანთაშევის სახლის იერიშით ამღებნი დღესაც თავ-თავიანთ ადგილზე არიან.

ერთის სიტყვით, თვითმპყრობელება ფაქტიურად ისევ არსებობს; ადმინისტრატიული თვითნებობა და ძალმომრეობა არა თუ არ მოსპობილა, პირიქით, იმატა კიდეც.

აი, კიდევ ორიოდე ფაქტი იმის დასამტკიცებლად, რომ თვითმპყრობელობის გაუქმებას არ სცნობს ბიუროკრატია. 18 ოქტომბერს პეტერბურგის ერთ ეკლესიაში „საშინელი“ და დაუჯერებელი ამბავი მოხდა: ეპისკოპოსმა ანტონინმა (ეს ის ეპისკოპოსია, რომელმაც კობეკოს კომისიაში თვითმპყრობელობას უღალატა და პრესისთვის სრული თავისუფლება მოითხოვა) წირვის დროს ხელმწიფე იმპერატორი ახსენა, მაგრამ სიტყვა „თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა“ გამოსტოვა. თვითმპყრობელობის მოტრფიალე სამღვდელოება დაფაცურდა და ლიბერალ ეპისკოპოსზე სინოდში „დანოსი“ გაგზავნა. სინოდმა ეპისკოპოსი მიიწვია და „ძმური“ დარიგება მისცა. მაგრამ ეპისკოპოსმა განაცხადა (დახეთ იმის თავხედობას!), გუშინდელ დღიდან ხელმწიფე თვითმპყრობელი აღარ არის და ამიტომ მას შემდეგშიაც თვითმპყრობელად არ მოვიხსენიებო. სინოდი მაინც არ დაეთანხმა, მაგრამ არც ეპისკოპოსმა დაუთმო. ჯერჯერობით ამით გათავდა ეს საქმე, მაგრამ აქ საგულისხმო ის არის, რომ უმაღლესი სასულიერო დაწესებულება—სინოდი—ისევ ძველ რეჟიმს აღიარებს და თვითმპყრობელობას ისე ებღაუჭება, როგორც წყალ წაღებული—ჩალას.

მეორე საქმეც ამგვარ ხასიათისაა. უმაღლესმა მთავრობამ 31 ოქტომბერს სენატის მოხელენი ეკლესიაში დაიბარა და დააფიცა, რომ ისინი არ უღალატებენ და ერთგულად ემსახურებიან თვითმპყრობელ ხელმწიფეს. რას ნიშნავს ეს ამბავი? როგორ მოხდა, რომ სახელმწიფოს უმაღლესმა დაწესებულებამ—სენატმა—ასე მოურიდებლად გასთელა 17 ოქტომბრის მანიფესტი? ვის უნდა დაუჯეროს ხალხმა: ვიტტეს, რომელიც შველას თხოულობს და ირწმუნება, რომ მანიფესტი განხორციელებულ იქმნებაო, თუ სენატს და სინოდს, რომელიც ხალხს აფიცებენ და აცხადებენ, რომ თვითმპყრობელობა არ მოსპობილაო? დიაღ, თვითმპყრობელობა არ მოსპობილა. აბსოლუტიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი, — არ ვიცი, კატკოვი, თუ სხვა ვიღაც, — სწერდა, რომ ყოველ პოლიციელს გულში თვითმპყრობელობის ღვთაებრივი ნაპერწკალი აქვს ჩა[illegible]! რუსეთში მართლა ყოველი პოლიციელი თვითმპყრობელია, ხოლო გენ.-გუბერნატორებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება. ამ დღეებში, მაგალითად, კრემენჩუგში ერთი ისეთი ამბავი მოხდა, რომელიც შვეიცარიაში შვედების ბატონობა და ვილჰელმ ტელის დროს მოგვაგონებს. რამდენიმე საუკუნის წინად შვეციის მეფემ დაპყრობილ შვეიცარიაში თავის ნამესტნიკად ვინმე გოსლერი დააყენა. გოსლერმა შარა გზაზე მეფის ქუდი ჩამოჰკიდა და ბრძანება გასცა, მეფის მაგივრად ყველამ იმის ქუდს ეცით პატივიო. ასე მოიქცა კაზაკთა გენერალი, კრემენჩუგის გენ.-გუბერნატორი კალიტინი, რომელმაც ჯერ აუარებელი ხალხი ამოჟლიტა და მერე შემდეგი განცხადება გააკრა კრემენჩუგის ქუჩებში: „დროებითი გენერალ გუბერნატორი უცხადებს კრემენჩუგისა და იმის მიდამოების მცხოვრებთ, რომ რადგან ის (ე. ი. გენერალ-გუბერნატორი კალიტინი) ამჟამად ამ ადგილში მის იმპერატორობით უდიდებულესობას წარმოადგენს, ამიტომ ყველა მოვალეა ქუჩებში და საზოგადო საკრებულოებში შეხვედრის დროს მას ფეხზე აუდგეს, ქუდი მოუხადოს და სალამი მისცეს“.

ნუთუ ამ ფაქტსაც ახსნა-განმარტება და რაიმე კომენტარია სჭირია? ნუთუ ასეთ მაგალითებს შემდეგ ვინმე კიდევ იტყვის, რომ მანიფესტმა უკვე დაამკვიდრა და განახორციელა ცხოვრებაში მოქალაქობრივი უფლებანი და თავისუფლება? ცხადია, ამის თქმა არ შეიძლება, და ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რომ მებრძოლი ხალხი მანიფესტის სიტყვებით უნდა დაკმაყოფილდეს და თავი პოლიტიკურ ძილს მისცეს. ეს უფლებანი ცხოვრებაში უნდა განხორციელდეს ნამდვილად, რომელთა ერთი ნაწილი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქაღალდზე არის დაწერილი.

მ. ბდ—ლი.

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ.

რედაქციამ გურიაში დაზარალებულთა სასარგებლოდ მიიღო ილია ჭავჭავაძისაგან—20 მ. იაკობ ს. ღულაძისაგან 5 მ. ბ-ნ ალექსი კაპანაძისაგან მცხეთაში შეკრებული 155 მ. 95 კ. სულ 180 მ. 95 კაპ., წინად შემოსულთან ერთად—436 მ. 95 კაპ. მთლად მცხეთის საზოგადოებამა და დროებით მცხეთაში მცხოვრებთა საერთო საგანგებო ყრილობაზე დაადგინეს: გამოუცხადონ თანაგრძნობა და დახმარება გურიაში ჯარების მიერ დახოცილთა და გადამწვართა.

მხცეთის სასოფლო თანხიდან—30 მ. ვასილ გეგეჭყორმა—25 მ., ხუთ-ხუთი მანათი: უცნობმა და ვეისმა. 5 მ. და 30 კაპ. მცხეთის დედათა მონასტრის მონოზნებისაგან. სამ-სამი მანათი

---

*) ევროპის რამდენიმე გაზეთი აცხადებდა, რომ მანჯურიაში, სხვათა შორის, გაიგზავნა რუს-ოსმალოს ომიდან დარჩენილი რამდენიმე ფუთი კონსერვებიო.

—გიორგი მრევლიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, მიხეილ მამულისშვილი, ნესტორ მუჯირი, სარდიონ ყანჩაველი და Д. Домброво. ორ ორი მანათი: პორფილე ქელიძე, ეგნატე ვერულია, დარია მრევლიშვილისა, დავით გედევანიშვილი, ნიკოლოზ ობიაშვილი, დომენტი რევია, ნესტორ ჩახავა, გიგო დემეტრაშვილი, Петръ Засыпкинъ, С. Якимовичъ, 1 მ. 20 კ. მღვ. აბრამ ტარიელიშვილი. თითო მანათი: კოსტა გეგეჭკორი, ალექსანდრე ბერიძე, ი. მრევლიშვილი, ზაქარია გარსევანიშვილი, დეკანოზი რუსიშვილი, ნუცა გედევანიშვილი, მღ. გრიგოლ გძელიშვილი, გიორგი კაკაბაძე, ლევან გედევანიშვილი, სტეფანე გრიქუროვი, №, ბესია ფუთოლაშვილი, ლაზარე ჩხარტიშვილი, სერგო ხუბიეროვი, არტემ ზარაფოვი, ალექსანდრე ალიხანოვი, ედიშერ ედიშერაშვილი, Θеодоръ Θеодоровъ, Муряченко, Кузьминъ. 65 კაპ.—დეკანოზი მრევლიშვილი, 60 კაპ.—ივანე მეკრავიშვილი. ათ-ათი შაური—დავით თოფურია, მარიამ ახსაბაძე, პაატ გედევანიშვილი, ვანო ლაშხაური, ვანო მაჩხანელი, კოლა გარსევანოვი, გოლა სისაური, პავლე გოგისვანიძე, დავით მარტოლეკი. სინკა იაშვილი, გიორგი იორდანოვი, გოლა იმერლიშვილი, თეოფანე გიორგობიანი, გიგო ხუბიეროვი, მღვდელი მიხეილ ტაბლიევი, იაკობ გარსევანოვი, ალექსი ციცავაძე, გიორგი მკერვალიშვილი, მიხეილ კაპანაძე, გიორგი გიგაური, გრიგოლ ბაკურაძე, Дмитрій Зайцевъ, Василій Гудовичевъ, Степанъ Лазаревъ, Иванъ Колотовъ. 40 კაპ.: დარჩო ხუბიეროვი, ნესტორ ჯიქია, 35 კ. სოფიო ბერიძისა. ექვს-ექვსი შაური: ნიკო ბეთლემიშვილი, იოსებ ბეთლემიშვილი, ვანო გორგაძე, ილიკო დევსურაშვილი, ნიკო მეკრავიშვილი, ალექსი დემეტრაშვილი, სანდრია ირემაშვილი, ლუა კენჩხუაშვილი, ზაქარია მეკრავიშვილი, ილიკო მარჯანიძე, ივანე დევსურაშვილი, იოსებ ლალიაშვილი, მოსე ლომაური, არტემ ზუბიაშვილი, გიორგი პატარქალიშვილი, გაბო მასურაშვილი, უცნობი, წყალობა არეშოვი, ზაქარა მარტოლეკი, გაბო მღებრიშვილი, იოსებ იმერლიშვილი.

თითო აბაზი: Францъ Киковскій, Францъ Дерниговскій, თადეოზ მკერვალიშვილი, Исакъ Лазаревъ, ეფრემ მარიდაშვილი, Дмитрій Шульга, ვანო გორგაძე, გიორგი მამულოვი, ივანე ხერუმოვი, ზაქარია კაპანაძე, გიორგი ჩუგუაშვილი, დავით ხუბიეროვი, მიხაკა ბენიამინი, თამარა გედევანოვისა. ორი შაური: სტეფანე მამულოვი. სულ 155 მ. 95 კ.

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სიღნაღი, 7 ნოემბერი. თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ გურულების სასარგებლოდ ცხრაას თუმნამდე გადასდო. ამავე მიზნით მთელ მაზრაში ხელის მოწერა გაიმართა.

ქუთაისი, 7 ნოემბერი. გაიფიცნენ სამოსამართლო დაწესებულებათა მოხელენი და მთავრობას თავის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად მოთხოვნილებანი წარუდგინეს.

ახალი ამბავი

◆ როგორც ვიცით, ამ ბოლო ხანებში ტფილისში საშინლად გაძვირდა ყოველგვარ პირველ აუცილებელ საჭიროების სურსათ-სანოვაგე. სხვათა შორის, მეპურეებმაც მოუმატეს წინანდელთან შედარებით ფასებს. ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციამ მოსთხოვა მეპურეებს, რომ **პური ისევ იმ ფასებში გაჰყიდონ, როგორც წინადა ჰყიდდნენ.** ამის გამო მეპურეებმა განაცხადეს, რომ ფქვილის საწყობის პატრონებმა ძლიერ დააძვირეს ფქვილი და ჩვენც იძულებულნი ვართ, პური ზედმეტ ფასებში გავყიდოთო. ამასთანავე მეპურეებმა მუშათა ორგანიზაციას წარუდგინეს ადრესები ფქვილის საწყობის პატრონებისა და სთხოვეს, ღონისძიება მიიღეთ, რომ მათ ფქვილი ძველს ფასებში ჰყიდონ და მაშინ ჩვენც პურს ძველებურ ფასებში გავყიდითო. ამის გამო მუშათა ორგანიზაციას კრება ჰქონდა და დაადგინა, მოსთხოვოს ფქვილის საწყობთა პატრონებს, რომ ძველს ფასებში გაჰყიდონ ფქვილი. განზრახვა აქვთ ასეთისავე წინადადებით მიმართონ შაქრისა და სხვ. საწყობების პატრონთაც.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, **მომავალ კვირას დანიშნოს მიტინგი,** რომელზედაც მოწვეულ იქნებიან ტფილისის ყველა ორგანიზაციები. ქალაქის ხმოსნებს მიტინგზე სურთ ლაპარაკი ჩამოაგდონ 29 აგვისტოს ამბებზე, რომლის მიზეზადაც საზოგადოების ერთი ნაწილი საბჭოს ხმოსნებსა სთვლის.

◆ ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება განიხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ ტფილისში **დაარსდეს მცხოვრებთა თავის დამცველი მილიცია და საქალაქო დრუჟინა.**

◆ ამ დღეებში ტფილისის **სცენის და მუსიკის მოღვაწეებს კერძო თათბირი ჰქონდათ** და გადასწყვეს, რომ საჭიროა მათ კრება მოახდინონ და თავიანთი აზრი გამოსთქვან რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. კრება დაინიშნება ოთხშაბათს, 16 ნოემბერს, საარტისტო საზოგადოების შენობაში.

◆ **ნამესტნიკის ბრძანება.** მკითხველებმა იციან, რომ ადგილობრივ ჯარიდან ბევრი ჯარის კაცი გაიქცა და თან თოფებიც წაიღო. უმაღლეს ნებართვით, კავკასიის ნამესტნიკი ახლა აცხადებს, რომ იმ გაქცეულ ჯარის კაცთ, რომელნიც 1-ლ იანვრამდე დაბრუნდებიან თავიანთ პოლკებში და იარაღსაც დააბრუნებენ, დანაშაული ეპატიებათო.

◆ ტფილისის ნოქრები კვირას, 13 ნოემბერს, მამადავითის მთაზე **მიტინგს მართავენ,** რომ ტფილისის ყველა ნოქართა კავშირი დააარსონ.

◆ ოკტომბრის ბოლო რიცხვებში, სოფელ გვერძნეთში (გორის მაზრა) **კაზაკებსა და გლეხებს შეტაკება მოსვლიათ.** გლეხთაგანი ორი მომკვდარა და 7 დაჭრილა. ჩხუბი თივის გამო მოსვლიათ. კაზაკებს არ მიუღიათ სოფლისაგან მიტანილი თივა და კერძო კაცის თივას მისტანებიან.

◆ ს. **შინდისიდან** (ქართლი) გვწერენ: ამას წინად გამოცხადებული იყო, რომ გორის მაზრიდან კაზაკთა ეგზეკუცია უნდა გაიყვანონო, მაგრამ **ზემო-ნიქოზში, ფხვენისსა და სხვა სოფლებში ეგზეკუცია ძველებურად ნავარდობს.** ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ ამ სოფლებში არავითარი განსაკუთრებული მოძრაობა არ არის. ზოგიერთ სოფლებიდან ეგზეკუცია გაიყვანეს.

◆ **ტფილისში ნავთი და შაქარი ძალიან გაძვირდა.** ქალაქში ფქვილიც აღარ მოდის, რის გამოც მოსალოდნელია, რომ ვაჭრები, რომელთაც ფქვილი დამალული აქვთ, ფასს ძალიან აუწევენ. ქალაქის გამგეობამ აღძრა საკითხი, რომ ახლავე ღონის-ძიებანი იქმნეს მიღებული, რომ მცხოვრებნი ცუდს მდგომარეობაში არ ჩავარდნენ.

◆ **ქუთაისიდან გვატყობინებენ,** რომ ლეჩხუმის მაზრაში გლეხთა და მემამულეთა შორის კვლავ უთანხმოება ჩამოვარდნილა. სამსონ გარდაფხაძის სახლში მოუკლავთ სევერიან გელოვანი. თვით გარდაფხაძე გაქცეულა და სადღაც დამალულა.

◆ ორშაბათს, 7 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ვაჟთა მეორე გიმნაზიაში მოხდა **ტფილისის საშუალო სასწავლებელთა დელეგატების კრება,** რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა მოწაფეთა საერთო გაფიცვის საკითხი. როგორც თითოეულ სასწავლებელში კენჭის ყრიდან გამოირკვა, გაფიცვის გაგრძელებას ემხრობა 1,400 მოწაფე, ხოლო მისი წინაალმდეგია 1,600. მოწინაალმდეგეთ სურთ სკოლები გახსნან და, რეგულიარულ მეცადინეობის მაგივრად, პოლიტიკური მიტინგები მართონ. რადგან ამ კრებას არ დასწრებიან ტფ. სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოწაფენი და ბევრი სხვა, ამიტომ კითხვა ჯერ არ გადაწყვეტილა.

◆ ორშაბათს, 7 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ალექსანდრეს სახელობის საოსტატო ინსტიტუტის შენობაში **კრება ჰქონდათ საშუალო სასწავლებლების მოწაფეებს**—სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც განუზრახავთ ტფილისში პოლიტიკურ კლუბის დაარსება. ამავე კრებაზე შემუშავდა ორი მუხლი მომავალ კლუბის წესდებისა. შემდეგი კრება მოხდება ოთხშაბათს, 9 ნოემბერს, მიწისმზომელთა სასწავლებელში, დილის 10 საათზე.

◆ თელავში ადგილობრივ პოლიციას 17 **ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის ნება არ მიუცია.** ასევე მოქცეულა გორის პოლიციაც.

◆ ქალაქის ხორცის დუქნების ზედამხედველად ნამყოფმა ბ-ნმა ევანგულოვმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა ვრცელი **მოხსენება ხორცის დუქნების წარმოების შესახებ.** მოხსენებიდან სჩანს, რომ ხორცის დუქნების გამგეს, ბუხჰალტერებს და მოსამსახურეთ სულ 3041 მანათი დაუხარჯავთ, რომელიც დღესაც არ დაუბრუნებიათ.

◆ ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, ტფილისის სახაზინო თეატრის მოსამსახურენი გამართავენ კრებას, რომელზედაც თავიანთ მოთხოვნილებებს შეიმუშავებენ და თეატრის დირექციას წარუდგენენ.

გაზეთ „ვოზროჟ“ სიტყვით, სოფელ ოლგინსკაიას მამასახლისი კარ-და-კარ დადის თურმე და სადაც „ვოზროჟდენიეს“ ნომრებსა ხედავს, ხევს: მაზრის უფროსმა მიბრძანა, ეს გაზეთი ხალხში არ გავრცელდესო.

შემახის მცხოვრებს, ფილოსოფიის დოქტორს სედ. თარაიანს კავკასიის ნამესტნიკისთვის ნება-რთვა უთხოვნია ტფილისში კვირეულ სომხურის გამოცემისათვის. გაზეთს „აშხატანქ“ ერქმევა.

◆ **ამას წინად თათრულ ენაზე გამოვიდა პროკლამაცია,** რომელშიაც ნათქვამი იყო: თუ მეძავ ქალთა სადგურებს, რომელიც აბანოებთან არის, სხვა ადგილას არ გადაიტანენ, ავიკლებთო. ამ სადგურების გადატანის შესახებ საგანი ამ ჟამად ტფილისის საგუბერნიო გამგეობაში ირჩევა.

◆ ვერ იქნა და ჭკუა ვერ ისწავლეს ტრამვაის მოსამსახურეებმა, ფეთიანივით დააქანებენ ვაგონებს და უბედურებას ახდენენ. შაბათს ვერის დაღმართში სიჩქარის გამო ერთი ვაგონი გადაბრუნდა და ერთს გარადავოის ფეხი მოსტეხა. მეორე დღეს უბედურ კაცს საავადმყოფოში ფეხი მოსჭრეს.

კავკასიის ქრონიკა

ბაქოდან სწერენ გაზეთ „ნორ-დარ“-ს, რომ ბაქოში უკანასკნელად მომხდარ ამბების დროს დახოცილ, დამწვარ და დაჭრილ სომეხთა რიცხვი 236 კაცს აღემატება; გადამწვარა 49 სახლი და მრავალი დუქანი. ზარალი რამდენსამე ათს მილიონს აღემატება.

◆ გაზეთი „უაზბეგი“ ასწერს არმავირში ხულიგანების მიერ ჩადენილ „საგმირო საქმეებს“ და, იმას დასამტკიცებლად, რომ ხულიგანებს თვით პოლიცია ხელმძღვანელობდა, მოჰყავს რამდენიმე მაგალითი: ბრბო გაჩერებულა ექიმ კუდრიავცევის სახლთან და მიუმართავს იქვე მდგომ ატამანის ვორონანსკისთვის—ნება მოგვეცი, ეს სახლი დავაქციოთო. ვორონანსკის უპასუხნია: „არ გიშლით... თუმცა ახლა თქვენ თავისუფლება გაქვთ მონიჭებულიო“. ამავე ვორონანსკის ჯერ ნება მიუცია მუშებისთვის, შეკრებილიყვნენ წითელ მოედანზე და, როცა მუშები შეკრებილან, თოფები დაუშენიათ მათთვის და მრავალი მუშა მოუკლავთ. 24 ოქტომბერს ხულიგნებს თავი მოუყრიათ ლუნინის დარბეულ სახლთან და მისი გადაწვა განუზრახავთ. ამავე დროს მოსულა ატამანი და იმას თვალის წინ სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ. შემდეგ ხულიგანებმა აიყვანეს თურმე ხელში ატამანი, ჰაერში აისროდეს და თან ყვიროდნენ: „სოციალ-დემოკრატების ხელმწიფე (ლუნინი) იწვის, გაუმარჯოს ჩვენს ატამანს“.

◆ ჩვენს გაზეთში ვსწერდით, რომ ამას წინად გროზნაში ხულიგანთა ბრბო თავს დაეცა იარმუკაზე მოვაჭრე ჩაჩნებს და თითქმის ყველანი ამოხოცა. ამის შემდეგ რუსებსა და ჩაჩნებს შორის დამოკიდებულება მეტად გამწვავდა. სადაც კი მოასწრებენ ჩაჩნები რუსებს, აღარ ზოგავენ. 24 ოქტომბერს ხასავ-იურტში, „უაზბეგის“ სიტყვით, ჩაჩნები დასცემიან გზაში მიმავალ კაზაკებს და თოფები დაუშენიათ. მძიმედ დაუჭრიათ რამდენიმე კაზაკი და მათი ცოლები.

◆ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურენი მუშაობას რომ დაუბრუნდნენ, გამგეობას მოსთხოვეს, უკანასკნელ გაფიცვის დროის ქირა მოგვეცითო. გამგეობამ უარი უთხრა. 2 ნოემბერს, დილით, სადგურ ბალაჯარის მოსამსახურეებმა მუშაობას თავი გაანებეს და მთელ გზაზე დეპეშა გაგზავნეს, დაუყოვნებლივ ყველანი გაიფიცეთო. კავკასიის რკინის გზის გამგეობა დაფაცურდა და მსწრაფლად განკარგულება მოახდინა, დაუყოვნებლივ დააკმაყოფილეთ მუშების მოთხოვნილებაო.

◆ 5 ნოემბერს ბაქოს გენერალ-გუბერნატორის წინაშე წარსდგნენ მუშათა დელეგატები ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წარმომადგენლებთან ერთად და შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს: 1) მუშები, რომლებიც აგვისტოში მომხდარ ამბების დრომდე ბაქოში მუშაობდნენ, მიღებულ იქმნან უკანვე სარწმუნოებისა და ეროვნების გაურჩევლად; 2) განდევნილ იქმნან ხულიგნები ქარხნების რაიონიდან, გამოძიებულ იქმნას უკანასკნელ დროს მომხდარი დარბევა და მისი მომქმედნი (ხულიგნები და პოლიციელნი) სასტიკად დაისაჯონ; 3) განდევნილ იქმნენ კაზაკები ბაქოდან, 4) მიეცეს შენობა მუშებს მიტინგებისთვის და სხვ. გენერალ გუბერნატორმა მოისმინა და ყოველი მუხლი ცალ-ცალკე გაარჩია. პირველ მუხლის შესახებ სთქვა, ყოველგვარ საშუალებას მივიღებ, რომ ეს თხოვნა დაგიკმაყოფილოთო, ამასთან დაჰპირდა ხულიგნების აღკვეთას და სთქვა: „ხულიგნების დეპუტაციას ვაცნობ, რომ ბაქოს პატრონები სომხები არიან (?!) და არა ისინიო“.

◆ 27 ოქტომბერს აღდამში ვიღაც მაჰმადიანმა მძიმედ დასჭრა მაზრის უფროსის თანაშემწე ბუშკინი. მიზეზი არავინ იცის. გამოძიება სწარმოებს.

რუსეთი

მუქარა. თვითმპყრობელმა მთავრობამ იქამდის მიიყვანა რუსეთი, რომ უცხოელები რუსეთის შინაურ საქმეებში აპირობენ ჩარევას. დანამდვილებით ამბობენ, რომ ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ და შვეიცარიამ რუსეთის მთავრობას საერთო ნოტა წარუდგინეს და გამოუცხადეს: რადგან რუსეთში ანარქია იწყება, რადგან მთავრობა ხალხის სურვილს წინ უდგება, რადგან მას არ სურს, ან არ შეუძლიან ანარქიასთან ბრძოლა და რადგან ჩვენ მოვალე ვართ

ფელეტონი

ებრაელების მდგომარეობა რუსეთში

ებრაელების მდგომარეობის გაცნობა ჩვენთვის ბევრის მხრივ არის საინტერესო. ეს ის ხალხია, რომელმაც ათასგვარ უბედურებას და ნაციონალურ დევნას გაუძლო და დღემდის თავისი ვინაობა შეინარჩუნა. ათასგვარ აუტანელ პირობებით გარემოცულმა, მან არა თუ სძლია ცხოვრების უკუღმართობას და საზოგადო პროგრესს არ ჩამორჩა, პირიქით, მან გაასწრო კიდეც სხვა ხალხებს და კაცობრიობას უთვალავი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მისცა.

მიუხედავად ამისა, ეს ხალხი უმრავლესობისაგან აბუჩად არის აგდებული. სახელწოდება „ურია“ ბევრს ლანძღვად მიაჩნია. ურია, ვაჭარი, მატყუარა, ძუნწი—ყველას ერთი და იგივე ჰგონია. ეს რამდენიმედ მართალიც არის. იერუსალიმის აოხრების შემდეგ ეს ხალხი მთელ დედა-მიწის ზურგზე იქმნა დაფანტული და ამან გამოიწვია მისი ვაჭრული ხასიათი. ურია განსაკუთრებით ვაჭარ-მრეწველია, ეს თვისება მას დაბადებიდანვე თან აქვს შეზრდილი. საინტერესოა მხოლოდ ის, რომ ქრისტიანები, რომელნიც ვაჭრობას ურიებს ცოდვად უთვლიან, თვითონ სრულიად არ თაკილობენ ამ ხელობას და ბევრის ქრისტიან ვაჭრის „საქმენი საგმირონი“ ჩვენ ყველამ ვიცით.

ჩვენ სრულებით არ გვიკვირს, რომ ევროპაში, სადაც ხალხი პოლიტიკურად თავისუფალია, ანტისემიტთა პარტია, ე. ი. ებრაელების მოწინააღმდეგე პარტიაც—არსებობს და, რაც უფრო საინტერესოა, ეს პარტია კი არ უძლურდება, არამედ თანდათან ძალას იკრებს, წვრილ გლეხობის და წვრილ ხელოსნების ერთ ნაწილში და სტუდენტობაში გავლენას პოულობს. ამათში ბევრი შეგნებულად და ბევრი შეუგნებლად იბრძვის ებრაელ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც იქ საკმაოდ ძლიერია. გლეხობა-ხელოსნების და წვრილ ვაჭრების ერთი ნაწილი ემხრობა ანტისემიტებს იმიტომ, რომ ებრაელი ბურჟუაზია მას აწუხებს; მას ავიწყდება, რომ ებრაელ ბურჟუაზიას დამარცხება კიდევ არ ნიშნავს საზოგადოდ ბურჟუაზიის დამარცხებას. სტუდენტობის სიძულვილი ებრაელებისადმი ადვილი გასაგებია: ებრაელი ცხოვრებამ მუყაითობას შეაჩვია, ამიტომ ებრაელი სტუდენტი თავის ქრისტიან კოლეგას სჯობნის (ასეა, მაგალ., ხშირად გერმანიაში) და ქრისტიანიც მის მტრად გამოდის.

ვინც იცის ებრაელების აკლების ამბები რუსეთში, იმისთვის ცხადია, რომ რუსის გლეხის და მუშის აუტანელი ქონებრივი მდგომარეობა იმის მიზეზია, რომ მთავრობა ებრაელების აკლების მოწყობას ახერხებს. ამ მხრით ევროპასა და რუსეთს შორის განსხვავება არ არსებობს: უმთავრეს როლს იქაც და აქაც ეკონომიური ელემენტი თამაშობს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ევროპის კანონმდებლობა ებრაელს სხვებთან ერთად თანასწორ უფლებებს ანიჭებს, რუსეთს კი თავისი საზოგადო მხეცური კანონები საკმაოდ არ მიაჩნია და სხვა ეროვნებისთვის განსაკუთრებული კანონები აქვს შექმნილი. ამ მხრივ ებრაელების მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. ისინი ორ ცეცხლშუა არიან მოქცეულნი: ერთის მხრივ მათ ავიწროებენ, როგორც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომებს, და მეორე მხრივ, როგორც ებრაელებს—„ინოროდცებს“. რადგანაც რუსეთში ურია და ვაჭარი ბევრს ერთი ჰგონია, და რადგან ვაჭარს ყველა მდიდრად თვლის, ამიტომ საინტერესოა გავიცნოთ ებრაელების ეკონომიური მდგომარეობა, საჭიროა ვაცოდეთ, მართლა მთელი ებრაელი ხალხი მდიდრებისაგან და ექსპლუატატორებისაგან შესდგება, როგორც ამას მთავრობის დამქაშები ავრცელებენ უბრალო ხალხში, თუ არა.

1897 წლის აღწერის თანახმად, რუსეთში ებრაელების რიცხვი ექვს მილიონამდე ადის. ამათგან 95,9% პოლონეთსა და თხუთმეტ სხვა, განსაკუთრებით ებრაელებისთვის საცხოვრებლად დანიშნულ გუბერნიებში ცხოვრობს. ამას, რუსეთის კანონმდებლობის სიტყვით, „ჩერტა ოსედლოსტი“—ჰქვიან, ე. ი. ის საზღვარი, რომელშიაც შეუძლია ებრაელს სამუდამო ბინის გაჩენა. 1882 წლის 3 მაისის „დროებითი წესების“ ძალით, ებრაელებს ეკრძალება ქალაქ ადგილების გარეშე დასახლება, ამიტომ 87% ებრაელი ქალაქებშია თავმოყრილი. ყურადღების ღირსია აგრეთვე, რომ 100 ქალი 95 კაცზე მოდის; ამისი მიზეზია ხშირი სიკვდილი მამაკაცთა შორის და საზღვარ-გარედ მათი ემიგრაცია.

საინტერესოა, რომ ებრაელების მდგომარეობა „მეფე განმათავისუფლებლის“ დროიდან ფუჭდება. იმპერატორები ალექსანდრე I და ნიკოლოზ I ებრაელებს ლმობიერად ეპყრობოდნენ, ცდილობდნენ მათში მეურნეობა გაევრცელებინათ. 1804 წელს ებრაელებს ნება ეძლევათ მიწა იყიდონ ან იჯარით აიღონ, ხუთის წლით თავისუფლდებიან სახაზინო გადასახადებისაგან, ნოვოროსიაში ეძლევათ დასასახლებლად თავისუფალი მიწები და 300 ათასი მანათი დახმარება. ნიკოლოზ I-მა ებრაელი მეურნენი 25 და 50 წლით სალდათობიდან გაანთავისუფლა, გაანთავისუფლა აგრეთვე სახაზინო გადასახადებისაგან 25 წლით და საეროზო გადასახადებისაგან 10 წლით. მე-40-ე და მე-50-ე წლებში მთავრობამ დაუთმო ებრაელებს თავისუფალი მიწები ხერსონისა და ეკატერინოსლავის გუბერნიებში, დასავლეთ მხარეში და პოლონეთში.

მაგრამ, როგორც ვთქვით, მე-60 წლებიდან მთავრობის ლმობიერებამ სასტიკ დევნას დაუთმო ადგილი. 1859 წელს შეჩერებულ იქმნა თავისუფალ მიწების მიცემა დასავლეთ მხარეში, ხოლო 1864 წელს, პოლონელების აჯანყების შემდეგ, მათ აეკრძალათ მიწის ყიდვა და იჯარით აღება სამხრ.-დასავლეთის და ჩრდილოეთ-დასავლეთის ცხრა გუბერნიაში. 1882 წლის კანონით, მათ ეკრძალათ ქალაქსა და დაბებს გარედ ყოველივე უძრავ ქონების ყიდვა ან იჯარით აღება და დასახლება. 1891 წელს სხვა ებრაელ გლეხების შესახებ კანონს პოლონეთის ებრაელებიც დაუქვემდებარეს, 1903 წლის კანონით კი ურიებს აეკრძალათ მიწის ყიდვა ან იჯარით აღება „საცხოვრებელ საზღვარ“ გარედაც.

ასეთი იყო მთავრობის პოლიტიკის პროგრესი ებრაელთა მიმართ.

ასეთის ზომების მიუხედავად, ებრაელი მეურნენი მაინც არსებობენ. მეურნეობას მისდევს სულ 149 ათასი ებრაელი, მათ სარგებლობაშია 132,505 დეს. მიწა, ზოგი საკუთარი და ზოგიც იჯარით აღებული. ესენია წვრილი და საშუალო შეძლების გლეხები. მსხვილ მესაკუთრეთა და მოიჯარადრეთა რიცხვი ექვს ათასამდე ადის, ამათ განკარგულებაშია თითქმის ორი მილიონი დესეტინა, უმთავრესად ტყეები. ესენი სხვა კაპიტალისტებისაგან მაინც არაფრით განსხვავდებიან და ამიტომ უფრო საინტერესოა წვრილის და საშუალო გლეხთა მდგომარეობის გაცნობა. ავიღოთ, მაგალ. ხერსონის გუბერნია. აქ ცხოვრობს 18 ათასი სული, მათ სარგებლობაშია 35,903 დესეტინა, ოჯახზე მოდის 11 დესეტინაზე ცოტა მეტი, სულზე თითქმის ორი დესეტინა. ამათგან 19% სულ არ აქვს მიწა, 41% ძლიერ ცოტა აქვს, ცოტად თუ ბევრად უზრუნველ-ყოფილია დანარჩენი 40%. 1898 წელს ახალშენის 32% სულ არ ჰყავდა ცხენი, 70% თითო ცხენი ჰყავდა, სხვებს თითოზე მეტი. მიწის მესაკუთრეთაგან მხოლოდ 37% ჰქონდა თავისი სამუშაო იარაღები, 63% კი სხვისი იარაღებით მუშაობდა. თითო ოჯახის წლიური შემოსავალი 165 მანეთამდე ადის, თვეში 13 მანეთი და 75 კაპ.; საინტერესოა, რომ მთელი მიწის ნახევარზე მეტი (56,4%) კოლონისტების ერთ მეშვიდედ ნაწილს ეკუთვნის.

ებრაელ გლეხების მდგომარეობა ბესარაბიაში კიდევ უფრო უნუგეშოა. აქ 792 ოჯახობა სახლობს, ამათში მხოლოდ—536 ოჯახობას აქვს საკუთარი მიწა, ამათგან 218 ოჯახს (40%) თითო ცხენიც არა ჰყავს, 162—თითო ცხენი ჰყავს და მხოლოდ 146 ოჯახს ჰყავს თითო ცხენზე მეტი.

ცოტათი უკეთესად თუთუნის პლანტაციების პატრონები ცხოვრობენ, მაგრამ მსხვილი მონოპოლია მათ აქედანაც ერეკება.

სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში ებრაელების ახალშენები ნიკოლოზ პირველის მეცადინეობით დაარსდა. 1872 წელს მთავრობამ სრულიად უმიზეზოდ ჩამოართვა აქაურ ებრაელებს—33,582 დეს. მიწა, ე. ი. 31%, და მსხვილ ჩინოვნიკებს გადასცა. ამჟამად აქ ებრაელ-გლეხებს რუსებთან შედარებით ორჯელ ნაკლები მიწა უკავიათ და ისიც ცუდის ღირსებისა, გადასახადების მხრით კი ისინი სხვა მცხოვრებლებთან გათანასწორებულნი არიან; ასე გასინჯეთ, ადგილობრივ სამღვდელოების შესანახადაც კი იხდიან გადასახადს—ე. ი. ქრისტიანე მღვდლების სასარგებლოდ! ამას და ადგილობრივ ადმინისტრაციის თავგასულობას დაუმატეთ ისიც, რომ ებრაელებს აკრძალული აქვთ მათთვის საცხოვრებლად დანიშნულ ადგილებიდან სხვაგან წასვლა, და თქვენ ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა აუტანელ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს 140 ათასი ებრაელი გლეხი, რომელსაც მხოლოდ სიმშილით სიკვდილის უფლება აქვს მინიჭებული.

გდავიდეთ ახლა ხელოსნების მდგომარეობაზე. ოფიციალურ დოკუმენტების თანახმად რუსეთში 600 ათასამდი ებრაელი ხელოსანი ითვლება, ამათგან 77 ათასამდე ქალია. მათი უმრავლესობა „ჩერტას“ საზღვრებშია მოქცეული, სახელდობრ 80%. მართალია 28 ივლისის 1865 წლის კანონით ებრაელ-ხელოსნებს იმპერიის ყველა კუთხეში ეძლევათ ცხოვრების უფლება, მაგრამ დღემდის მხოლოდ 2% უსარგებლნია ამ კანონით. მიზეზი ის არის, რომ ხელოსნის ბედ-იღბალს კანონი ადმინისტრაციის ხელში აგდებს. საჭიროა, ხელოსანმა პოლიციიდან ყოველ წელიწადს კარგი ყოფა-ქცევის მოწმობა იქონიოს. თუ რას ნიშნავს პოლიციასთან საქმის დაჭერა, ეს ყველამ კარგად იცის. ამიტომ არის, რომ ხელოსნებში ზოგიერთ ადგილას არიან თავმოყრილნი და სამუშაოს შოვნა მათთვის ხშირად პირდაპირ სანატრელია. ბელორუსიაში, მაგალ., თითო მკერავი 51 სულზე მოდის, ზოგან თითო მკერავი 20-ზე,—ამიტომ, რა გასაკვირველია, რომ მათი შრომა თითქმის მუქთი იყოს. მაგალ., ოდესაში მკერავი ქალი წყვილ პერანგის ამხანაგის შეკერვაში **ორ კაპეიკს** იღებს. ვინც სამუშაოს შოულობს, არც იმის მდგომარეობაა სანატრელი. თითო მკერავი წელიწადში 200—250 მანათს თუ აიღებს, თითო მეწაღე—150—200 მან.; წაღების მსხვილმა წარმოებამ ვარშავაში ლამის სრულიად გაანადგუროს ხელოსანი-მეწაღე. გარდა ამისა, ხელოსნების უმრავლესობას არც იარაღი და არც მასალა არ მოეპოვება, ამიტომ იგი იძულებულია საჭირო ფული ისესხოს, რისთვისაც 5 მანეთში თვიურად ხშირად 50 კაპ. იხდის, ე. ი. 120%.

ამ გარემოებით საკმაოდ სარგებლობენ მექარხნეები. ლოძის რაიონში მრავალი მექარხნეა, რომელთაც თავისი ქარხანა არა აქვთ, ესენი სახლში ურიგებენ ხელოსნებს მასალას და ისე ამუშავებენ. მუშაობს მთელი ოჯახი—ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მუშაობენ 14—18 საათამდე, მუშაობენ მყრალ, ნოტიო და ბნელ ქოხმახებში და მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ პურითა და წყლით იკვებებიან. აი, ასეთ ხალხს უწოდებს რუსეთის მთავრობა შინაურ მტრებს, ხალხის მყვლეფელებს და შეუგნებელ, ველურ ბრბოს მის ასაკლებად თავს უყრის!

დაგერჩა ქარხნების მუშა-პროლეტარიატი, რომელიც „ბუნდის“ ხელმძღვანელობით საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენს დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ებრაელ პროლეტარიატს, საზოგადო უღელს გარდა, განსაკუთრებული უღელიც აწევს კისერზე. ქარხანაში მის მიღებას ყველა ერიდება, ასე გასინჯეთ, ებრაელი კაპიტალისტიც კი. ამისი მიზეზი შემდეგია: ებრაელი ხალხი რუსეთში ყოველივე საშუალებას მოკლებულია, რომ განვითარდეს; ამიტომ ის კაპიტალისტისათვის არ არის ხელსაყრელი. ამას გარდა, როგორც სხვაზე უფრო შევიწროვებული, ის მხურვალე მონაწილეობას ღებულობს მოძრაობაში, და ეს, როგორც ვიცით, კაპიტალისტისათვის სასიამოვნო არ არის. ყურადღების ღირსია ისიც, რომ ებრაელი კაპიტალისტი თავის „მოძმე“ ებრაელ მუშას პირდაპირ რუსის ჩინოვნიკის თვალით უცქერის. რაც ქრისტიან მუშას ეპატიება, იმის ნება ებრაელ მუშას არ უნდა ჰქონდესო! საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მღვიმე-მადაროებისა და ხე-ტყის წარმოების გარდა (სადაც ებრაელებს მუშაობა არ შეუძლიათ, რადგან სოფლებში ცხოვრება აკრძალული აქვთ), ებრაელებს უფრო ხშირად წარმოების იმ დარგში შეხვდებით, სადაც შრომის აუტანელი პირობებია, მაგალ., თუთუნის ქარხნებში. მიზეზი ის არის, რომ ებრაელ მუშას ყველა გაურბის და რადგანაც ძნელ სამუშაოს არავინ ეტანება, ამიტომ ებრაელი ისევ ასეთ ქარხანაში შოულობს თავშესაფარს. ლოძსა და ბელოსტოკში, სადაც ბამბეულობა-შალეულობის ქარხნები უმთავრესად ებრაელ კაპიტალისტების ხელშია, ებრაელ მუშებს ნაკლებად შეხვდებით. დაუმატეთ მას შავ-მუშების აუტანელი მდგომარეობა (16—18 საათის შრომაში 30—40 კაპეიკს ძლივს იღებენ) და აგრეთვე სოფლებში მოსიარულე მუშების (წელიწადში 13 ათასამდე) მდგომარეობა, რომელთაც დამქირავებელი „ურიადნიკის“ დახმარებით ხშირად გროშის მიუცემლად ერეკება სოფლიდან, და თქვენ ადვილად წარმოიდგენთ, თუ როგორ აუტანელია ებრაელ ხალხის ცხოვრება რუსეთში.

ეს ექვსი მილიონი ხალხი, მთავრობის მიერ რამდენიმე კუთხეში გამომწყვდეული, პირდაპირ გადაგვარების გზაზეა შემდგარი. სად არის ხსნა? ხსნა რუსეთის თვითმპყრობელობის სრულიად განადგურებაშია. სანამ ამ წყეულების ნაფლეთი კიდევ დარჩება, მანამდის არ მოისპობა ის შევიწროვება, რომელიც საგანგებოდ ებრაელ ხალხის დასაჩაგრავად არის შექმნილი.

კ—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიცვათ ინტერესები რუსეთში მცხოვრებ უცხოელებისა და კაპიტალისტებისა, რომელთაც რუსეთს აუარებელი ფული ასესხეს, ამიტომ იძულებული გავხდებით კრონშტადტში შეერთებული ესკადრა გამოვგზავნოთ და საზღვრებზე აშენებული ციხე-ფორტები დავიჭიროთო. თუ უცხოელებმა მართლა მოინდომეს თავიანთ ინტერესების დაცვა, რაიცა მოსალოდნელია, რუსეთის მთავრობა მალე, აასრულებს ხალხის სურვილს და წესიერებას აღადგენს.

✦ რევიზიამ აღმოაჩინა, რომ კიევში **ებრაელების აკლება** წინდაწინვე ყოფილა მომზადებული. ხულიგანებს ამისთვის განსაკუთრებული ბიუროც კი ჰქონიათ. ეს ბიურო ებრაელების ადრესებს აგროვებდა. ადრესები ხულიგანებისთვის საიდუმლო პოლიციას მიუცია. ვნახოთ, რას უზამენ დამნაშავე პოლიციელებს, სასამართლოში მისცემენ, თუ ჯამაგირს მოუმატებენ.

✦ ხელმწიფე იმპერატორმა მხურვალე მადლობა გამოუცხადა პეტერბურგის გვარდიას ერთგულ სამსახურისთვის და „წესიერების დაცვისთვის"

თუ როგორი „ერთგულებით" დაიცვა წესიერება პეტერბურგის გვარდიამ 18, 19 და 20 ოქტომბერს, ყველამ ვიცით.

✦ სევასტოპოლის გრადონაჩალნიკი ადმირალი სპიცკი **სამსახურიდან დაითხოვეს** იმის გამო, რომ მან მოქალაქეთ მილიციის შედგენის ნებართვა მისცა ხულიგანებისგან დასაცავად. ოდესის გრადონაჩალნიკს ნეიდგარდს კი, რომელმაც ხულიგანებს 6000 ებრაელი ამოაჟლეტინა, იაროსლავის გუბერნატორობას აძლევენ.

✦ პეტერბურგის საპყრობილედან ამნისტიის ძალით, სხვათა შორის, უნდა განთავისუფლებულიყვნენ 12 რევოლუციონერი, მაგრამ მთავრობამ ისინი სადღაც გადაჰკარგა. არც საპყრობილეში არიან და არც პეტრე-პავლეს ციხეში. ეძებენ და დღესაც ვერ უპოვიათ. **ამნისტიაც სწორედ ასეთი უნდა!**

✦ მთავარ-სამხედრო სასამართლოს უფროსმა გენ. პავლოვმა გადამწერლებს, „პრავიტ. ვესტ."-ის გარდა, სხვა **გაზეთების კითხვა აუკრძალა**. ეს ის პავლოვია, რომელსაც დღემდის არც ერთი პოლიტიკური ბრალდებულიც არ გაუგზავნია კატორღაში და არც გაუმართლებია. ყველას ან დახვრეტა გადაუწყვიტა, ან ჩამოხრჩობა.

✦ იალტაში და სევასტოპოლში რამდენიმე ათასი სალდათი და მატროსია დამწყვდეული. ყველანი **გამანთავისუფლებელ მოძრაობაში იღებდნენ მონაწილეობას**. მათ შორის საზღვაო ოფიცერი შმიდტიც არის, რომელიც მანიფესტის გამოცხადების შემდეგ დააპატიმრეს. პატიმრები დეპეშით სთხოვენ ხალხს, ნუ დაგვტოვებთ მარტო, გვიშველეთ და გაგვანთავისუფლეთო.

✦ როსტოვიდან პეტერბურგში დეპუტაცია გაგზავნეს როსტოვში მომხდარ ამბების გამოსარკვევად. დეპუტაციას ვიტტესთან უნდა მოელაპარაკნა და შეეტყობინებინა, რომ ებრაელების აკლება როსტოვის გრადონაჩალნიკმა მოაწყო და რომ შეიძლება დღეს-ხვალ ისევ წინანდელი ამბები დატრიალდესო. მაგრამ... ვიტტემ დეპუტაციის მიღება არ ინება და ხელ-ცარიელი დააბრუნა უკანვე.

✦ 1 ნოემბერს პეტერბურგში პუტილოვის მუშათა მიტინგი მოხდა. მიტინგზე ერთმანეთს შეებნენ სოციალ-დემოკრატიისა და სოციალ-რევოლუციონერთა ორატორები. ბოლოს გამარჯვება სოციალ-რევოლუციონერებს დარჩა. მუშებმა სოც.-რევ. შედგენილი შემდეგი **რეზოლუცია** მიიღეს: 1) „ჩვენ ვიტტეს კუდმოკვეცილ კონსტიტუციისა არაფერი გვჯერა. ჩვენ აიც ლიბერალ-ბურჟუების სიცრუე გვწამს. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ათას გვამებს, ათას ნაცემს, ათას დაჭრილს, სისხლის ზღვასა და შლისელბურგის პატიმართა კვნესა გვესმის. ჩვენ ვიბრძვით ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, ვიბრძვით და ვთხოულობთ, რომ მიწა მშრომელ ხალხს გადაეცეს, პიროვნება თავისუფალი იყოს და რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდეს. ამ ბრძოლისკენ მოვიწვევთ ჩვენს ძმებს —მშრომელ გლეხობას. მიეცით მუშას პური! მიეცით გლეხს მიწა! მიეცით ხალხს თავისუფლება!" 2) კრონშტადტელ ამხანაგებს თანაგრძნობას ვუცხადებთ. ჩვენ ვთხოულობთ, რომ მთავრობამ არ გაბედოს მათი დასჯა და დახვრეტა, თორემ პროლეტარიატი ადგება და გმირმეზღვაურთა სისხლს ჯალათების—თვითმპყრობელობის საზიზღარ მონათა სისხლით წალეკავს. საუკუნო ხსენება დაღუპულთ! დიდება თავისუფლებისთვის მებრძოლთ! ძირს მტარვალნი!

✦ პეტრე-პავლეს ციხეში 1 ნოემბერს პოლიტიკური პატიმარი პოპოვი იმის დედასა და დას პირველად აჩვენეს... **26 წლის განმავლობაში.**

✦ ირკუტსკში **დროებითი მთავრობა** შეუდგენიათ. უმაღლესმა მთავრობამ ამის გამო ირკუტსკში სამხედრო წესები შემოიღო.

ქუთაისის გუბერნატორის ვ. ა. სტაროსელსკის დაბრუნება ქუთაისში

3 ნოემბერს, დილის 12 საათზე, ტფილისიდან ქუთაისს დაბრუნდა გუბერნატორი ბ-ნი ვ. ა. სტაროსელსკი. სადგურებზე ხალხი აღტაცებით უხვდებოდა.

მთელი ჩვენი მოგზაურობა ტფილისიდან ქუთაისამდე ნამდვილი დღესასწაული იყო.

სულ სხვა სურათს წარმოადგენდა ჩვენი მგზავრობა ქუთაისიდან ტფილისამდე 1 ოქტომბერს. მივდიოდით ტფილისში და არ ვიცოდით, როგორ გათავდებოდა ჩვენი მისსია.

„იქით გზაზე ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებდა, აქეთ—აღდგომა და გამარჯვებააო"—სთქვა ბ-ნმა სტაროსელსკიმ.

მგზავრობის თავდარიგს სწევდა ალ. ი. სადოვნიკოვი, სამტრედიის მიტინგის მიერ არჩეული. ის ჭეშმარიტად ამაყობდა ამ თავის როლით—როგორც იქით, ისე აქეთ გაბრწყინებულ სახით მუდამ ფუსფუსებდა. გუბერნატორს დათმობილი ჰქონდა ერთი პატარა ვაგონი მსახურთათვის და ერთიც მეორე კლასის ვაგონი დელეგატებისათვის. გზაზე როგორც იქით, ისე აქეთ ბევრმა მიმართა თხოვნით ბ-5 სადოვნიკოვს წამიყვანეო, მაგრამ ის ყველა „რჩეულს ამა სოფლისას" უარს ეუბნებოდა ამ სიტყვებით: „ეს წმინდა ვაგონია, ჩვენ მიგვყავს დიდად პატივცემული გუბერნატორი სტაროსელსკი და დელეგატები, აქ თქვენი ადგილი არ არისო". ამ სიტყვებით გადმოაბრძანა გომის სადგურზე კაზაკის აფიცერი, რომელიც ჩვეულებრივის ბატონ-კაცურის სახით შემობრძანდა ვაგონში. აფიცერი პირლია დარჩა და კბილების კრაჭუნითა და მუქარით გავიდა.

ქსნის სადგურზე შეგვხდა ცნობილი პოლიციელი ელ. გუგუშვილი, იმანაც მოინდომა ჩვენთან მგზავრობა, მაგრამ მისდა სასიამოვნოდ ცივი უარი მიიღო. გორში ხალხმა აღტაცებით მიიღო გუბერნატორი—იქვე იდგნენ აფიცრები, როგორც კაზაკები, ისე სალდათები და, როგორც ეტყობოდათ, ვერ გამოერკვიათ, რა ხდებოდა, როგორ მოქცეულიყვნენ. ერთი ქართველი აფიცერი თ. ნაცვალოვი დიდიხანი ეხვეწა სადოვნიკოვს ერთი სალდათი წაიყვანეო.—სალდათს წავიყვანდი თქვენ რომ არა მფარველობდეთო—მიიღო პასუხი. ასეთ ურჩობას არა ჩვეული ნაცვალოვი დიდად გაცეცხლდა, მით უმეტეს, რომ იქვე სიამოვნებით ჰვილეთ თავისი ბარგი-ბარხანით ორი გლეხი, გორის ციხიდან მანიფესტის ძალით განთავისუფლებული.

„Застрѣлю мерзавцевъ"—გაგვაგონა ბ-ნმა ნაცვალოვმა, მაგრამ ყურს ვინ უგდებდა?!

სკრაში ხალხი აღტაცებით მოგვეგება. იქვე იდგნენ რამოდენიმე კაზაკის აფიცერი და თოფებ-მომარჯვებული კაზაკები. ერთმა დელეგატმა მიმართა კაზაკებს: „ძმებო, კაზაკებო, მშვიდობა ჩამოვარდა, თავისუფლებამ გაიმარჯვა, რად გინდათ მომზადებული თოფები, სად ხედავთ მტერსაო". ეს სიტყვები დიდად იწყინა ერთმა აფიცერმა და თავისებური ლანძღვა-გინება დაიწყო. ამ დროს მატარებელიც დაიძრა—Попадешься на народный судъ-ო დაიძახეს.

ხაშურში აუარებელი ხალხი დაგვიხვდა, იქვე იდგა დიდძალი ჯარიც. გუბერნატორს ხალხი ვაშას და ურას ძახილით შეხვდა. ერთმა ამხანაგმა წაიკითხა გაზეთიდან „ნამესტნიკის პრიკაზი". გურიიდან ჯარის გამოყვანის შესახებ. ამის შემდეგ სტაროსელსკის წარუდგა ერთი დელეგატი მთელის მუშათა ორგანიზაციებისა და სად. მიხაილოვში მცხოვრებთა სახელით უთხრა ვრცელი სიტყვა, დაახასიათა მისი ჰუმანიური მოქმედება და დიდი მადლობა უძღვნა. აღტაცებულმა სტაროსელსკიმ დიდი მადლობა გადაუხადა ყველას. შემდეგ ვრცლად ილაპარაკა ერთმა ამხანაგმა, გააცნო ხალხს დღევანდელი პროლეტარიატის ბრძოლა და მისი გამარჯვება. ხალხმა აღტაცებით მოისმინა და ურა შესძახა. სადოვნიკოვმაც რკინის გზის მუშებს მიმართა სიტყვით, რომ რაკი ბ-ნ სტაროსელსკის შემწეობით ჩვენი მიზანი აღვასრულეთ, აწი შეგვიძლია მუშაობას შევუდგეთო.

აღფრთოვანებული ხალხი ურას ძახილით და ჰაერში ქუდების სროლით გამოგვემშვიდობა.

ხაშურს შემდეგ დაღამდა. დიდებული რამ იყო მოლითი. მართალია, ხალხი მცირე რიცხოვანი იყო, მაგრამ გაეკეთებინათ ჩირაღდნები და იქაურობა გაენათლებინათ. ურას ძახილით მეხვდნენ ყველანი—ქალები ტაშს უკრავდნენ. ასეთი სურათი იყო შორაპანში—აქ, გარდა ჩირაღდნებისა, ყველას სათითაოდ ეჭირა სანთლები.

ძირულაში არავინ არ დაგვხვედრია და არც საკვირველია,—მგლოვიარედ იყვნენ: 2 ნოემბერს აქ საშინელი დრამა დატრიალებულა. რკინის გზის სამხედრო ბრიგადას მოჰყავდა სამხედრო მატარებელი. მემანქანე სალდათის უთაურობის გამო, ვაგონი თურმე ლიანდაგს გადასცა—და მავნებით მარტო ერთი სალდათი დაჭრილა, მაგრამ სხვებს მოსჩვენებია თურმე; ეს არის ხალხი დაგვეცა თავსო, და დარევიან ყველას, ვინც შეხვდათ. ოთხი ბავშვი ხიშტზე წამოუგიათ! როგორც ამბობენ, დავთარ დაკარგულ სალდათებს 20 კაცამდე მოუკლავთ. შემდეგ თვითონაც გაიგეს, რაშიაც იყო საქმე, მაგრამ რაღა დროსია, მკვდრებს ვინ გააცოცხლებს?!

დიდებული შეხვედრა იყო აგრეთვე ზესტაფონში. აქ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. დიდის აღფრთოვანებით მიეგებენ გუბერნატორს, არც საკვირველია, ზესტაფონელები კარგად იცნობენ სტაროსელსკის. მისთვის ზესტაფონი მეორე სამშობლოა. აქ ილაპარაკა ერთმა ჩოხიანმა ამხანაგმა საამდროვო ტემაზე. ილაპარაკეს ხალხიდგანაც. ილაპარაკა თვით გუბერნატორმაც. ყველა სიტყვა ურას და ვაშას ძახილით თავდებოდა [illegible] ციაში აქ სალდათებმაც მიიღეს მონაწილეობა.

რიონში მარტო სალდათები სდგანან. მთელი სადგური და მისი ბაქანი მათ უჭირავთ.

ქუთაისში, მართალია, ბევრი არ დაგვხვედრია, მაგრამ, რაც დაგვხვდა, ყველა აღტაცებული; ვაგონიდან ხალხმა თავისი საყვარელი გუბერნატორი ეტლამდე ურას ძახილით მხარზე შესმული მიაცილა. ასე დასრულდა დიდმნიშვნელოვანი მგზავრობა.

ანწლაძე

კორესპონდენცია

ქ. გორი. 24 ოქტომბერი. გორის სასწავლებლების გაფიცვის დღე იყო. ამ დღეს გაიფიცნენ საქალაქო სასწავლებლის მოწაფენი, სასტატო სემინარია და ქალთა გიმნაზია. საქალაქო სასწავლებლის მოწაფეებმა თავიანთ მთავრობას შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს: 1. პედაგოგიურ საბჭოს ყოველ კრებებზე ორი უფროსი კლასიდან არჩეული ათი დეპუტატის დასწრება. 2. მასწავლებლებიდანა და მოსწავლეთაგან კომისიის შედგენა, რომელსაც დევალება მოწაფეებსა და მასწავლებლის შორის მომხდარ უთანხმოების გამორკვევა. 3. მოწაფეთათვის სამხანაგო სასამართლო. 4. უფლება გამოაცხადონ მასწავლებლის უვარგისობა ზემოდასახელებულ შეერთებულ კომისიაში საბუთების წარდგენით. 5. ყოველ საზოგადო ადგილებში მონაწილეობის მიღებისა და ყოფნის უფლება, როგორც, მაგალითად, კრებებზე, კლუბში, ქალაქის წიგნთ-საცავებში, ქალაქის ბაღში, წარმოდგენებზე, კონცერტებზე, ქალაქის სამმართველოსა და ერობის კრებებში და სხვ. 6. ცენზორისაგან ნებადართულ გამოცემათა კითხვის ნება. 7. გამრავლება ღარიბ მოწაფეთა იმ რიცხვისა, რომლებიც უნდა იზრდებოდნენ სახელმწიფო ხარჯზე 25%-ით. 8. უფლება საკუთარის წიგნთსაცავის დაარსებისა და შეკრებისაგან საკუთარ ჟურნალის გამოცემისა, მთავრობის უკონტროლოდ. 9. წიგნთსაცავის და საჭირო წიგნების მქონის უფლება გადაეცეს უფროს კლასებიდან არჩეულ მოწაფეებს. 10. საგნობითი (предметное) სწავლების შემოღება. 11. სასწავლო საგნების კურსის გადიდება და შემოღება ახალი ენების სწავლებისა, ბოტანიკისა, წიგნთ-აკინძობისა, დურგლობისა და სხ. ხელობის. 12. ჰქონდეთ მათ უფლება სასწავლებლის გათავების შემდეგ შევიდნენ ყოველ საშუალო სასწავლებელში უეგზამენოდ. 13. ადგილობრივი ენების და საღვთო წერილის სამშობლო ენაზე სწავლება. 14. ხელ-უხლებლობა გაფიცულ შეკრებებისა და სხვ.

სასტატო სემინარიის მოწაფეებმა და ქალთა გიმნაზიის მოწაფეთაც თითქმის ესევე მოთხოვნილებანი წარუდგინეს თავიანთ მთავრობებს. საინტერესოა უფრო დასასრული ქალთა გიმნაზიის გაფიცვისა. მოთხოვნილების წარდგენის შემდეგ, გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ დაუგზავნა მოწაფეთა მშობლებს განცხადებანი: ვინც 2 ნოემბრამდე სასწავლო ფულს არ წარმოადგენს, დათხოვნილ იქნება და უეგზამენოდ შემდეგში აღარ მიიღებენ გიმნაზიაშიო.

ამ განცხადებამ მოწაფეები ისე შეაშინა, რომ მეორე დღესვე ნახევარზე მეტმა დაიწყო სიარული. ბოლოს სხვებიც იძულებულნი იყვნენ, რომ ევლოთ, რადგან მათის არ წასვლელობით არაფერი გამოდიოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მივიდა გიმნაზიაში მათი დირექტორი და გამოუცხადა, რომ ორს მოწაფეს ითხოვენ, როგორც გაფიცვის მოთავეთ. ამბობენ, თურმე ყველანი დაასახელა. ამავე დირექტორს გაუდახეხია ერთი მასწავლებელი, იმის გამო, რომ ის დაესწრო სახალხო მიტინგს, რომელიც აქ გამართეს 1 ნოემბერს. ამ გვარად, ორი მოწაფის დათხოვნით დასრულდა მათი გაფიცვა და იმათ კი იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა არა ჰქონდათ, რომ თავიანთი ამხანაგები დაეხსნათ ამ სასჯელისაგან.

ამნაირავე განცხადებანი დაუგზავნა გორის საქალაქო სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომაც, იმ განსხვავებით, რომ აქ უკანასკნელი რიცხვი 15 ნოემბერია, რომლის შემდეგაც მოწაფეებს უეგზამენოდ აღარ მიიღებენ, მაგრამ აქ იმან გავლენა არ იქონია და მოწაფეები ისევ განაგრძობენ გაფიცვას. სასტატო სემინარიაში გაფიცვა მესამე დღეს შესწყდა და მოწაფეებმა ისევ სწავლა დაიწყეს.

გ. ნამორაძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

6 ნოემბერი.

ჩიტა, 6. მრავალი მძარცველი ტომსკი ნაქურდალი ქონებით მანჯურიაში წავიდა, ზოგი მათგანი ჩიტაში დარჩა, ქალაქი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად. გუბერნატორმა მიიღო ზომები, რომ ძარცვა-გლეჯა არ განმეორდეს.

უმანი, 6. ქალაქის დარბევის გამო დანიშნულ გამოძიებაში მიიღებენ მონაწილეობას ნაფიცი ვექილები.

სტარი-ოსკოლი, 6. გლეხთა მოძრაობა გაძლიერდა, გადაწვეს მემამულების 17 სახლკარი. მოვიდა ერთი როტა სალდათი და კაზაკების ერთი ასეული.

პეტერბურგი, 6. ფინლანდიის გზა მუშაობს. ნიკოლაევის გზაზე მატარებლები რკინის გზის ბატალიონს დაჰყავს, დილით მოვიდა მოსკოვიდან ოთხი მატარებელი. ტელეგრაფის მუშაობა შიგ აღადგინეს.

დვინსკი, 6. მიიღეს დეპეშა, რომ კიევიდან პეტერბურგს მატარებელი გავიდა.

ვლადივოსტოკი, 6. ქალაქის ცხოვრება თავის კალაპოტში ვარდება, თუმცა ნავთსადგურში უცხო ქვეყნების გემები ჯერ კიდევ ვერ იტვირთებიან. ჯარის შორის აღელვება თანდათან ცხრება, რადგან გენერალ ლინევიჩის განკარგულებით დაუყოვნებლივ განთავისუფლეს 4,000 სათადარიგო ჯარის კაცი ევროპის რუსეთისა და ყველა სათადარიგო ჯარის კაცი ამურისა. დაქცეული ქალაქი საზარელ სურათს წარმოადგენს. სვეტლანის ქუჩაზე საუკეთესო სახლები დანგრეულია, ხოლო ალეუტის ქუჩაზე გადამწვარია. ნავთსადგურში საზღვაო უწყების მრავალი შენობა დაზარალდა.

მოსკოვი, 6. საერთო საერობო კრებაზე არიან 26 საერობო და 13 არა საერობო გუბერნიებისა და 39 ქალაქის წარმომადგენლები. პოლონეთიდან მოვიდა 23 დეპუტატი. კრებაზე წარმოითქვა ცალკე წარმომადგენლების აზრი მიმდინარე ამბების შესახებ და შემდეგ განიხილეს საკითხი, შეუძლიან თუ არა კრებას დაეხმაროს რაიმე მთავრობა და თუ შეუძლიან—რა პირობებით. ბიურომ მოახსენა კრებას ბიუროს წევრთა პეტერბურგში წასვლის შედეგი და უარჰყო გაზეთების ცნობა, ვითომ ვიტტემ საერობო ბიუროს კაბინეტის შესადგენად მიიწვია, ხარჯოვის ერობის წარმომადგენელმა კუზნეცოვმა წინადადება მისცა კრებას, მხარი დაუჭირონ ვიტტეს, ხელმწიფე იმპერატორს მადლობა გამოუცხადონ 17 ოქტომბრის მანიფესტის გამო და დაეხმარონ ვიტტეს ხალხის დასამშვიდებლად უმთავრეს საკითხებში, ხოლო დანარჩენ წვრილმან საკითხების გადაწყვეტა სახელმწიფო საბჭოს მიანდონ. ნემიროვსკიმ კრების ყურადღება მიაქცია გლეხთა მოძრაობას, რომელიც, შეიძლება, სისხლის ზღვად იქცეს. ორატორი ერთად ერთ ხსნას იმაში ჰხედავს, რომ ვიტტეს დაუჭირონ მხარი, არა და, უკიდურესი პარტიები გამარჯვებენ, ან ვიტტეც რეაქციის მომხრე გახდება.

მოსკოვი, 6. ქალაქებისა და ერობის წარმომადგენელთა კრებაზე როდიჩევმა განიხილა 17 ოქტომბრის მანიფესტი და სთქვა, ყველების შერთება შეიძლება, თუ ვიტტე ყველა თავისუფლებისა და საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებას უზრუნველჰყოფს. მთავრობა ამ უფლებაზე უარს ვერ გვეტყვის. გრაფმა გეიდენმა სთქვა, მე ისეთ მნიშვნელობას არ ვაძლევ არჩევნების სისტემას და საჭიროდ არ ვსთვლი დამფუძნებელ კრებას. ჩვენ მხოლოდ ვითხოვთ, რომ მთავრობამ წარმოსთქვას სიტყვა კონსტიტუცია, რათა უკანვე წაღება აღარ შეეძლოთ. ვილნოს ებრაელთა სამღვდელო საზოგადოებამ ითხოვა, კრებას ჩვენი წარმომადგენელიც დაესწროსო, კრებამ უპასუხა, რომ აქ მონაწილეობას იღებენ ტერიტორიის წარმომადგენლები და არა ეროვნებისაო.

კიევი, 6. საბჭომ 42 ხმის უმეტესობით, ერთის წინააღმდეგ დაადგინა: რადგანაც ქალაქებისა და ერობის წარმომადგენელთა კრებას მოსკოვში რუსის ხალხის გამომხატველად არ ვსცნობთ და ვხედავთ, რომ იგი ვიწრო პარტიულია, არ გავგზავნოთ ამ კრებაზე ქალაქის საბჭოს წარმომადგენელიო. კიევის ქალაქის საბჭო არ ეთანხმება კრების მიერ მიღებულ დადგენილებებს და საზოგადოდ არ თანაუგრძნობს კრების მიმართულებას. საბჭოს დადგენილება აცნობონ ვიტტეს, მოსკოვის გრადონაჩალნიკს და კიევის იმ ხმოსნებს, რომლებმაც კრებაზე მონაწილეობა მიიღეს.

პეტერბურგი, 7. გაფიცვა შესწყდა შუადღის 12 საათზე. ასოთ-ამწყობნი ყველა სტამბებში მუშაობას შეუდგნენ. აფთიაქები გაიხსნა. ტელეფონი მუშაობს. მატარებლების მიმოსვლა დაიწყო. ქალაქში სიწყნარეა. ქუჩებში პატრულები დადიან. ყველა ქარხნები მუშაობენ. კავშირთა კავშირის პეტერბურგის ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც გავიგეთ, წინადადება მისცა ყველა კავშირებს, 7 ნოემბერს პოლიტიკური გაფიცვა შესწყვიტონ.

ბახმუტი, 7, დარბევისაგან ზარალი ოთხ მილიონს აღემატება.

ვერხნედნეპროვსკი, 7. გაძარცვეს და გადაწვეს დაბა „ჟელტია ვოდა", დაარბიეს სოფლები ვესიოლაია ტერნი და დაბა კრივოი როგი.

კოვნა, 7. ქალების გიმნაზიაში სწავლა შესწყდა.

ბელოსტოკი, 7. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სამხედრო პატრულები ქუჩებში აღარ დადიან. ქალაქში სრული სიწყნარეა.

ყაზანი, 7. ასოთ-ამწყობნი მუშაობას დაუბრუნდნენ.

გროდნა, 7. მე-26 საარტილერიო ბრიგადაში ჯარის კაცებმა უწესოება მოახდინეს. რამდენიმე ჯარის კაცი დაატუსაღეს.

ლოძი, 7. თითქმის ყველა ქარხნები მუშაობენ. ელექტრონის ტრამვაი წესიერად მუშაობს. ბანკები, სხვადასხვა კანტორები, მაღაზიები და დუქნები გაიხსნა. სწავლა ყველა სკოლებში დაიწყო. ქალაქმა ჩვეულებრივი ელფერი მიიღო.

რიგა, 7. რიგა-ორლოვის რკინის გზის მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს, საერთო გაფიცვას არ მიემხრონ.

ასტრახანი, 6. ცირკის შენობაში შავი ჭირით ავად გახდა 70 კაცი. მათ შორის 41 მოკვდა. ავადმყოფობის მოსასპობლად ენერგიული ზომები მიღებულია. ქალაქში სიწყნარეა.

ენისეისკი, 7. ქალაქის საბჭომ ერთხმად დაადგინა, კრასნოიარსკისა და ტომსკის ქალაქების მოურავებს გამოუცხადონ თანაგრძნობა 20 და 21 ოქტომბერს მომხდარ ამბების გამო.

ელიზავეტგრადი, 7. ბირჟის კომიტეტის გამოანგარიშებით, 18 ოქტომბერს მომხდარ ამბის დროს ვაჭრებს 50,000 მანათი ზარალი მოუვიდათ. კომიტეტმა გადაწყვიტა დაზარალებულთ დახმარება აღმოუჩინოს.

ვარშავა, 7. დილით მეწაღე-ებრაელთან კრუჩის ქუჩაზე მივიდა სამი უცნობი კაცი და ვითომდა სოციალურ პარტიისთვის ფული მოსთხოვა. მეწაღემ უპასუხა, ახლა არა მაქვს და საღამოზე მოდითო. ხუთ საათზე ისევ მივიდნენ და, რა დაინახეს, რომ ოთახში რამდენიმე ებრაელს თავი მოეყარა, სროლა დაუწყეს. დასჭრეს სამი.

პეტერბურგი, 7. შუადღის 12 საათზე ყველა გზებზე მატარებლების წესიერი მიმოსვლა დაიწყო. ვაგზლებზე საფოსტო კორესპონდენციებით გატენილ ტომრების მთა სდგას, რომელიც გაფიცვის დროს მოგროვდა.

პარიჟი, 7. „დემპა"-ს აზრით, პოლონელებს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ რუსის ლიბერალების თანაგრძნობა და მეტი ზომიერება უნდა გამოიჩინონ. ამგვარივე რჩევას აძლევს გაზეთი რუსის ხალხსაც.

სანსერვანი, 7. ინგლისის გემი „ხილდა", რომელიც საუდჰამპტონიდან მოდიოდა, კლდეს დაეჯახა დაიღუპა 123 მგზავრი, მხოლოდ 5 კაცი დარჩა.

რიგა, 7. მშობლებისა და პედაგოგიურ საბჭოთა შეთანხმებით ყველა სასწავლებელში სწავლა ხვალიდან დაიწყება.

ჩიტა, 7. საშუალო სასწავლებლებში სწავლა დაიწყო.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

(ადგილობრივის საათით).

ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 58 წ.; 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. და 46 წ.; 3) საქონ.-სამგზავრო № 18 დილის 11 ს. და 38 წ.; 4) სწრაფი № 20 მოსკოვამდის (მარტო სამშაბათობით) საღამოს 6 ს. და 33 წ.;

ბათუმს: 1) სამგზავრო № 7 საღამოს 10 ს. და 54 წ.; 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 53 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. და 5 წ.;

ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. და 10 წ.; 2) საქონ. სამგზავრო № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. და 11 წ..

ტფილისში ჩამოდის:

ბათუმიდან: 1) სამგზავრო № 8 ნაშუადღევის 1 ს. 29 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 9 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. და 42 წ.;

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მხოლოდ პარასკევობით) ნაშუადღევის 2 ს. და 28 წ.; 2) საფოსტო № 3 შუადღ. 12 ს. და 8 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. და 29 წ.; 4) საქონ. სამგზავრო № 17 ღამის 10 ს. და 28 წ.;

ბათუმიდან გამოდის: 1) სამგზავრო № 8 ღამის 12 ს. და 30 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 6 ს. და 13 წ.; 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. და 22 წ.;

ქობულეთისკენ: დილის 10 ს. 28 წ.

ნატანებისკენ: ნაშუადღევის 2 ს. და 58 წ.

ბათუმში ჩადის:

ტფილის-ბაქოდან: 1) სამგზავრო № 7 დღის 11 ს. და 31 წ.; 2) საფოსტო № 3 ღამის 1 ს. და 12 წ.; 3) სამგზავრო № 5 საღამოს 8 ს. და 5 წ.

ბაქოდან გამოდის:

ტფილის ბათუმისკენ: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მარტო ხუთშაბათობით) ღამის 1 ს. და 18 წ.; 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. და 51 წ.; 3) სამგზავრო № 5 შუადღის 12 ს. და 1 წ.; 4) საქონ.-სამგზ. დილის 5 ს. და 1 წ.

ბაქოში ჩადის:

ტფილის-ბათუმიდან: 1) საფოსტო № 6 ნაშუადღევის 2 ს. და 18 წ.; 2) სამგზავრო № 6 ღამის 1 ს. და 40 წ.; 3) საქონ.-სამგზ. (ტფილისიდან) № 18 ნაშუადღევის 4 ს. და 53 წ.

მიხაილოვიდან გადის:

ბორჯომისკენ: სამგზავრო. 1) დილის 4 ს. და 3 წ.; 2) დილის 11 ს. და 28 წ.; 3) საღამოს 5 ს. და 23 წ.

სურამისკენ: საქონ.-სამგზ. 1) ღამის 3 ს. და 8 წ.; 2) დილის 4 ს. და 8. წ.; 3) დილის 9 ს. და 43 წ.; 4) დილის 11 ს. და 33 წ.; 5) ნაშუადღევის 3 ს. და 38 წ.; 6) საღამოს 5 ს. და 28 წ.

ბორჯომიდან გამოდის.

მიხაილოვისკენ: სამგზავრო: 1) ღამის 11 და 42 წ.; 2) დილის 8 ს. 12 წ.; 3) ნაშუადღევის 2 ს. და 3 წ.

ბაკურიანისკენ—(ბორჯომის ბაღიდან): სამგზავრო დილის 10 ს. 20 წ.

ბაკურიანიდან გამოდის.

ბორჯომისკენ: სამგზავრო ნაშუადღევის 4 ს. და 18 წ.

სურამიდან გამოდის.

მიხაილოვისკენ: საქონ.-სამგზავრო: 1) ღამის 2 ს. და 31 წ.; 2) ღამის 3 ს. და 28 წ.; 3) დილის 9 ს. და 1 წ.; 4) დილის 10 ს. და 41 წ.; 5) ნაშუადღევის 2 ს. და 51 წ.; 6) ნაშუადღევის 4 ს. და 36 წ.

რიონიდან გადის:

ქუთაისისკენ: სამგზავრო: 1) დილის 5 ს. და 13 წ.; 2) დილის 7 ს. 18 წ.; 3) დილის 11 ს. 03.; 4) ნაშუადღევის 3 ს. 38 წ.; 5) საღამოს 9 ს. 48 წ.; 6) ღამის 11 ს. 13 წ.

ქუთაისიდან გამოდის.

რიონისკენ. სამგზავრო: 1) დილის 4 ს. 33 წ.; 2) დილის 6 ს. 33 წ.; 3) დილის 10 ს. 13 წ.; 4) ნაშუადღევის 2 ს. 53 წ.; 5) საღამოს 8 ს. 58 წ.; 6) ღამის 10 ს. 18 წ.

ტყიბულისკენ: საქ.-სამგზ. ნაშუადღევის 4 ს. 28 წ.

შორაპნიდან გადის.

საჩხერისკენ: სამგზავრო: 1) დილის 6 ს. 56 წ.; 2) ნაშუადღევის 2 ს. 13 წ.

საჩხერიდან გამოდის:

შორაპნისკენ: სამგზავრო. 1) დილის 8 ს. 52 წ 2) ნაშუადღევის 4 ს. 46 წ.

ფოთიდან გამოდის:

სამტრედიისკენ: სამგზავრო: 1) ნაშუადღევის 2 ს. 11 წ.; 2) დილის 7 ს. 11 წ.; 3) საღამოს 7 ს. 22 წ.

ქუთაისისკენ: დილის 5 ს. 44 წ.

სამტრედიიდან გადის:

ფოთისკენ: სამგზავრო: 1) დილის 9 ს. 58 წ.; 2) ღამის 10 ს. 53 წ.; 3) საღამოს 4 ს. 58 წ.

განცხადებანი

დაიწყო ხელის-მოწერა

რუსულ ჟურნალ „Вѣстникъ Донскаго Отдѣла Императорскаго Россійскаго О ва садоводства"-ზე. ჟურნალში ირკვევა საკითხები მებაღეობისა, მევენახეობისა, მებოსტნეობისა, მეფუტკრეობისა და მცენარეთა მოშენების შესახებ. წელიწადში გამოვა 12 წიგნი. ფასი ორი მანეთი. ხელის მომწერლებს პრემიად მიეცემათ სამი სურათი, იაჩევსკისაგან დახატული. პრემიის გასაგზავნი 40 კ. ადრესი: ნოვოჩერკასკი, იამსკი ქუჩა, № 11. (3—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 10 ნოემბერს გაწმენდილი იქნება ის აუზი, საიდანაც წყალი ეძლევათ დიდუბეს, კუკიას, ჩუღურეთს, ვორონცოვის გზატკეცილს, ხარფუხსა და მტკვრის მარჯვენა მხარეს გოლოვინის პროსპექტამდის; კვირას, 13 ნოემბერს, საღამოზე გაიწმინდება ის აუზი, საიდანაც წყალი ეძლევათ მტკვრის მარჯვენა მხარეს: მთის კალთებზე გაშენებულ ნაწილს, გოლოვინის პროსპექტსა და განოვის ქუჩის ზევით, ოლგინისა, წყნეთისა და ახლო-მახლო ქუჩებს და მამადავითისა და ამაღლების მოედნებს, ავლაბარსა და ნავთლუღს. **ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ წინდაწინვე შეინახონ წყალი.** (1—6.—3,

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5